# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 30 ივლისი 1998 №131 (665) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბალკანელებმა შავი დღე გვაყარეს

გუშინ იუგოსლავურმა „ცრვენა ზვეზდამ“, ფოთში მიღწეული შედეგის, 4:0-ის გაუმჯობესებას რომ აპირებდა, ჩვენებური ფოთის „კოლხეთი“ უეფას თასის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან, ცხადია, გამოაძევა და თან ქართული გუნდების საევროთასო ანტირეკორდიც დაამყარებინა — 7:0 მოუგო. წილისყრისთანავე განწირულ „კოლხეთს“ ვინღა ჩივის, როცა ჩვენმა ჩემპიონმა „დინამომაც“ კინაღამ ისეთი მარცხი შეიმთხვია, რომ ცოტა დააკლდა, ესპანურ ბილბაოს „ატლეტიკოთან“ მოსალოდნელი საცოდაობის ხილვა აგვაცილა. სირცხვილი კი „დინამომ“ მაინც ჭამა. ტირანაში „ვლაზნიასთან“ 1:3 წააგო. რომ არა „ვლაზნიას“ თავაცი ჰუსენ დედია და უეფა, დინამოელები ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო წრეს ვერ გადალახავდნენ. მადლობა პირველს იმისთვის, რომ თბილისში უგანაცხადო ფეხბურთელი ათამაშა, მეორეს კი იმიტომ, რომ „ვლაზნიას“ 0:3 წაგება ჩაუთვალა

კობა ინასარიძის რეპორტაჟი ტირანადან იხილეთ მესამე გვერდზე

ბიძინა დარჩია ბელგრადიდან

კოლხები ორშაბათს ესტუმრნენ შეკვეცილი იუგოსლავიის დედაქალაქს, რომელიც 40-გრადუსიანი სიცხით დაუხვდა სტუმრებს. ქალაქი იწვოდა და საერთოდ არ იგრძნობოდა, რომ ოთხშაბათს ქვეყნის უპირველესი გუნდი უეფას თასის საპასუხო შეხვედრას ატარებდა. თუმცა მე და ჩემმა კოლეგამ „ტვ ფაზისის“ სპორტულმა კომენტატორმა გია ეჯიბიამ გაცნობილთა შორის მხოლოდ „პარტიზანის“ გულშემატკივრები აღმოვაჩინეთ. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ბელგრადში „ცრვენა ზვეზდას“ ცოტა ვინმე უჭერდეს მხარს. პირიქით, ისინი თავისი შედეგებითა და პერსპექტივებით პირველები არიან ქვეყანაში და ცდილობენ დიდი გუნდის შექმნას. თუმცა, სტანკოვიჩის „ლაციოსთვის“ მიყიდვა და ოგნიენოვიჩის მადრიდის „რეალისთვის“ გამზადება, გარკვეულწილად საპირისპიროს მეტყველებს.

მასპინძლებმა ორშაბათს დაგვითმეს „ცრვენა ზვეზდას“ მოედანი, თავად კი სათადარიგო მინდორზე ივარჯიშეს. მატჩის წინა დღეს კი გუნდებმა მოსამზადებელი ასპარეზი გაცვალეს. მიუხედავად ამისა, იუგებმა ევროპელთათვის არცთუ დამახასიათებელი ყურადღებიანობა გამოამჟღავნეს, რაც ძირითადად „ცრვენა ზვეზდას“ პარტნიორის ფირმა „პუტნიკის“ თაოსნობით განხორციელდა. ეს ფირმა, რომლის დირექტორი ზორან ჰრვაჩენოვიჩია, პირველი მატჩისას იუგოსლავთა მგზავრობის ორგანიზატორიც გახლდათ და ეგებ, ნორმალურ დახვედრაში საკვირველიც არა იყოს რა.

მატჩის წინა დღეს საკმაოდ ბარაქიანად იწვიმა და ტემპერატურაც ნორმალური, 25 გრადუსზე დავიდა და მართლაც ჩინებული სათამაშო ამინდი დადგა. მაყურებელთა მოზღვავებას პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე არავინ ელოდა, მაგრამ მასპინძელთა ვარაუდი 30 ათასი მნახველი მაინც მოვაო, აშკარად მცდარი აღმოჩნდა. სტადიონზე მოსულ ქომაგთა რიცხვი ერთ ათეულ ათასს ძლივს მიუახლოვდა და ეს კიდევ უფრო გასაგები იქნება, თუ ვიტყვით, რომ მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას PTPCAT2 აწარმოებდა. ამ მატჩის ტელეტრანსლაციისთვის 8 ევროპულმა არხმა შეიწუხა თავი, მათ შორისაა ინგლისური ტელეკომპანია VTM, რომლის უნგრული ფილიალიც შეხვედრას ათამდე კამერით იღებდა.

ვიდეოჩანაწერს კოლხები შინ კი წამოიღებენ, მაგრამ, ვეჭვობ, მისი ნახვა ან ქართველმა გულშემატკივრებმა და ანაც თავად ფოთელებმა ისურვონ — იუგოსლავებმა გაგვანადგურეს, თან ისე რომ წაქცეულ „კოლხეთს“ წამოდგომაც არ დააცალეს.

### უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 29 ივლისი

UEFA CUP

*ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)* — კოლხეთი (საქართველო) 7:0 (4:0)
1:0 პანტელიჩი (28), 2:0, 3:0 ოგნიენოვიჩი (45პ, 47); 4:0 გოიკოვიჩი (54); 5:0, 6:0, 7:0 მიჩიჩი (57, 69, 90)

დინამო (ბაქო, აზერბაიჯანი) — *არჯეში (რუმინეთი)* 0:2 (1:5)
0:1 მუტიუ (51) 0:2 იელავიჩუ (90)

*ცსკა (სოფია, ბულგარეთი)* — ბელშინა (ბელარუსი) 3:1 (0:0)
1:0 პეტროვი (5), 2:0 ნაიდენოვი (37), 2:1 ბალაშოვი (50), 3:1 სტანჩევი (90)

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — *ომონია (კვიპროსი)* 5:3 (1:5)
0:1 მარანტოსი (2), 0:2 კიტანოვი (14), 1:2 ფინი (19), 1:3 იოაკიმი (22), 2:3 გორმანი (34), 3:3 მაკდონალდი (44), 4:3 გორმანი (48), 5:3 ფერგიუსონი (72)

ტირანა (ალბანეთი) — *ინტერი (სლოვაკეთი)* 0:2 (0:2)
0:1 ბალონიჩი (55) 0:2 მიკლოში (82)

*პოლონია (პოლონეთი)* — სადამი (ესტონეთი) 3:1 (2:0)
0:1 კრილოვი (3), 1:1 მოსკალი (8), 2:1 ვეძინსკი (16), 3:1 ბაკი (21)

*ვაასა (ფინეთი)* — ჰაფნარი (ფარერები) 4:0 (0:2)
1:0, 2:0 სუსტე (3, 17), 3:0 ტარკიო (72), 4:0 ნიგარდი (90)

*კილმარნოკი (შოტლანდია)* — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 1:0 (1:1)
1:0 მაპუდი (31)

დაუგავა (ლატვია) — *მურა (სლოვენია)* 1:2 (1:6)
0:1 ვოგრინჩიჩი (59), 0:2 რისტიჩი (66), 1:2 შარანდო (69)

*ჟალგირისი (ლიტვა)* — აკრანესი (ისლანდია) 1:0 (2:3)
1:0 სტეშკო (11)

ფინპა (ფინეთი) — *ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)* 1:3 (1:3)
0:1, 0:2 ტიკვა (5, 18), 0:3 ტობი (74), 1:3 გეაგეა (88)

*მალმიო (შვედეთი)* — შირაქი (სომხეთი) 5:0 (0:2)
1:0 ტილანდერი (19), 2:0, 3:0 კინდვალი (33, 45), 4:0 გუდმუნდსონი (68), 5:0 კინდვალი (77)

*რეინჯერსი (შოტლანდია)* — შელბურნი (ირლანდია) 2:0 (5:3)
1:0, 2:0 იოჰანსონი (4, 89)

სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — *ოცელული (რუმინეთი)* 1:1 (0:3)
1:0 სტანკოვსკი (41), 1:1 მიხალაჩი (58)

*ანდერლეხტი (ბელგია)* — ტილიგული (მოლდოვა) 5:0 (1:0)
1:0 სტოიჩა (31), 2:0 დე ბოეკი (42), 3:0 დიდენი (55), 4:0 ტაუმენტი (59), 5:0 აარსტი (77)

*ვისლა (პოლონეთი)* — ნიუთაუნი (უელსი) 7:0 (0:0)
1:0 კულავიკი (27), 2:0 სანდი (35), 3:0 კულავიკი (47), 4:0 კალიციაკი (51), 5:0 დუბიცკი (54), 6:0, 7:0 პატერი (61, 66)

*გიოტებორგი (შვედეთი)* — უნიონი (ლუქსემბურგი) 4:0 (3:0)
1:0, 2:0 ეკსტრიომი (17, 50) 3:0 ჰენრიკსონი (71), 4:0 ეკსტრიომი (79)

სარაევო (ბოსნია) — *ეკერენი (ბელგია)* 0:0 (1:4)

ბირკირკარა (მალტა) — *შახტიორი (უკრაინა)* 0:4 (1:2)

### ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი
პირველი მატჩები. 29 ივლისი

INTERTOTO CUP

რუხი (პოლონეთი) — დებრეცენი (უნგრეთი) 1:0
სიტარდი (ჰოლანდია) — ზალცბურგი (ავსტრია) 2:1
ვერდერი (გერმანია) — სამსუნსფორი (თურქეთი) 3:0
ბასტია (საფრანგეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 2:0
ბოლონია (იტალია) — სამპდორია (იტალია) 3:1
ესპანიოლი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 0:1

## ტოგონიძე: ბათუმიდან წითელ არმიაში?

წუხელ გახურებული ევროთასების დღეს „როიტერის“ სააგენტომ მხოლოდ ბელგრადსა და ტირანაში ქართველთა განადგურება როდი გვამცნო. ჩვენთვის საინტერესო ერთი ცნობაც მოგვაწოდა, საქართველოს ნაკრების მეკარე ნიკა ტოგონიძე „ბათუმიდან“ რუსულ მოსკოვის ცსკა-ში გადავიდაო.

„მოსკოვის ცსკა-მ, რომელიც რუსეთის პირველ დივიზიონში დარჩენას ლამობს, ოთხშაბათს განაცხადა, რომ ბათუმის „დინამოს“ ქართველ მეკარე ნიკა ტოგონიძეს გაუფორმა კონტრაქტი.

27 წლის ტოგონიძეს ნაკრებში დებიუტი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ჰქონდა თბილისში იტალიასთან და საკუთარი კარი მშრალად შეინახა, ქართველებმა იტალიელებთან ფრედ 0:0 ითამაშეს.

ქონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია“ — წერს „როიტერი“.

ცხადია, ტოგონიძეს სანაკრებო დებიუტი თბილისში იტალიასთან კი არა, იოანინაში საბერძნეთთან ჰქონდა, მაგრამ უცხოელთა ეს შეცდომა იმასთან რა მოსატანია, რომელშიც „ბათუმის“ თავკაცობამ „სარბიელის“ მკითხველი შეგვაყვანინა.

სამიოდ დღის წინ იყო, „ბათუმის“ მწვრთნელმა რომ განგვიცხადა, რა მოსკოვი, რის ცსკა, ტოგონიძეს ზღვისპირეთი არ დაუტოვებია, აქ ვარჯიშობსო. გუშინწინ კი, „ბათუმ“ — „არსენალის“ საკონტროლო მატჩისას, ვერც ტოგონიძე და ვერც ჭეიშვილი რომ ვეღარ ვიხილეთ, აჭარული კლუბის პრეზიდენტს მივმართეთ და მისგანაც იგივე პასუხი მივიღეთ, გუნდიდან არავინ წასულა, მათ შორის, არც ნიკაო. ვინ ტყუის, ან ვინ რას მალავს, ამის შეტყობა წუხელ ვეღარაფრით შევძელით. თუმცა, ისიცაა, ცსკა-ს ტოგონიძესთან მოლაპარაკება რომ არ ჰქონოდა ეს ინფორმაცია ზემოთ რომ წაიკითხეთ, არც გაჩნდებოდა.

## საბერძნეთში ჯერ სიმშვიდეა

### ფავორიტები იწყებენ და იგებენ

მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

C ჯგუფი

**აშშ 83:59 (40:32) ბრაზილია**

**აშშ: ვენდელ ალექსისი (13), მაიკლ ჰაუკინსი (12), ბრედ მილერი (12)**
**ბრაზილია: როხერიო კლაფკე (12), ჟოაო ხოსე ვივანა (11)**

„ჩვენ რომ ბოლომდე ისე გვეთამაშა, როგორც ამას თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ვაკეთებდით, არავინ იცის, ახლა გამარჯვებული ვინ იქნებოდა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ გაწბილებულმა ბრაზილიელთა თავკაცმა ხულიო რუბენს გარსიამ. ამ კაცის გულისტკივილი სრულიად გასაგებია. მისი გუნდი ხომ თამაშის დასაწყისიდანვე არაფერს უთმობდა ნაქებ ამერიკელებს. ის კი არა, ერთი პერიოდი 27:24-საც იგებდა, მაგრამ...

შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბრაზილიელები თითქოს ხელ-ფეხი შეუბორკესო, მთვარეულებივით დააბიჯებდნენ მოედანზე. ამერიკელთათვის კი, რა თქმა უნდა, მეტოქის ოდნავი დაბნევაც საკმარისი აღმოჩნდა. NBA-ს ყოფილი მოთამაშის მაიკლ ჰაუკინსისა და სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავის ბრედ მილერის წყალობით თამაშის ჯადოქრებმა 11 მშრალი ქულა მიითვალეს და შესვენებაზე სოლიდური ანგარიშიც — 40:32 წავიდნენ.

აი, მეორე ტაიმში კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი — აშშ იყო. უმწეო ბრაზილიელები სულ ტყუილად ცდილობდნენ ევროპის კლუბებში თამაშით ჭიპმოჭრილი ვეტერანი ვენდელ ალექსისის შეჩერებას. ამ კალათბურთელმა იმდენი მოახერხა, რომ 13 ქულა ჩააგდო და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა.

და სამხრეთამერიკელები? მათგან მხოლოდ 35 წლის ვეტერანი ჟოაო ხოსე ვივასის გამოყოფა შეიძლება, რომელმაც 11 ქულის გაკეთება შესძლო. თუმცა მატჩის ზეწოლას ვერც მან გაუძლო, მსაჯებს ხუთი პერსონალური ჯარიმა „გამოსტყუა“ და მოედანი ნაადრევად დატოვა.

პირველი გამარჯვების მიუხედავად აშშ-ის გუნდზე სრული შთაბეჭდილების შექმნა მაინც უაღრესად ძნელია. ჯერ ერთი, ისინი სულ რამდენიმე კვირის წინ შეიკრიბნენ და შეთამაშება აკლიათ. მეორეც, გუშინდელ მატჩში ბრაზილია ვერ გამოდგა ისეთი გუნდი, რომელიც ნაქები ამერიკელების ნამდვილ ძალას გამოავლენდა.

იხილეთ მერვე გვერდი



REUTERS ათენიდან

## ინტერპოლმა კახა ჩიქვინიძეს მიაგნო

ბერძნული სააგენტოების ცნობით, ინტერპოლის წარმომადგენლებმა ათენში დააკავეს საქართველოს მოკრივეთა ნაკრების ყოფილი წევრი კახა ჩიქვინიძე, რომელიც ეჭვმიტანილია თავისი თანაგუნდელის ზურაბ სარსანიას მკვლელობაში. ჩიქვინიძე უკვე ოთხი წელია იძებნებოდა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

## თსუ

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: მერვე

# ოთარ გაბელია: უნივერსიტეტის რექტორმა გვიხსნა

მეათე საიუბილეო ჩემპიონატამდე სულ ცოტა დრო რჩება. გუნდების უმეტესობა დამდეგი სეზონისთვის, კარგა ხანია, ინტენსიურად ემზადება ზოგმა ზღვისპირეთში, ზოგმაც მთიან კურორტებში გაიარა საწვრთნელ-მოსამზადებელი ეტაპი და რამდენიმე საკონტროლო მატჩიც გამართა. „ტორპედომ" ევროპაშიც წაიბურთავა და სხვა თუ არა, გამოცდილება მაინც შეიძინა. თსუ იმ კლუბებს მიეკუთვნება, რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი სულ ბოლო მომენტში გადაწყდა. დაშლის პირას მდგომმა სტუდენტების გუნდმა ყველასთვის ცნობილი ფინანსური პრობლემების გამო, ფაქტობრივად, მზადება ჩააგდო. სწორედ ამ საკითხზე და წინასჩემპიონატო პერიპეტიებზე სასაუბროდ შევხვდით *ოთარ გაბელიას*, თსუ-ს მთავარ მწვრთნელს

— მზადება სულ რაღაც ათი დღეა დავიწყეთ, მაგრამ ერთი ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია. თსუ-ს წევრთა უმეტესობა სხვადასხვა გუნდში ვარჯიშობდა, რადგან ჩვენ არ ვიცოდით, დავიშლებოდით თუ არა. აქედან გამომდინარე, ის ბიჭები, რომლებიც უკან დაბრუნდნენ, ფიზიკურად ნორმალურად არიან მომზადებულნი. გუნდის შენარჩუნებაში ლომის წილი მიუძღვის უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ როინ მეტრეველს. მან ყველაფერი იღონა, რათა საქათრველოს უპირველეს სასწავლებელს პირველ ჯგუფში კლუბი შეენარჩუნებინა.

**— თსუ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. ახალწვეულები თუ გყავთ?**



ოთარ გაბელიას წლეულსაც დიდი გარჯა და ბევრის მოწევა მოუწევს

— გუნდი მართლაც ბევრმა დატოვა. ზოგიერთების ადგილსამყოფელი ჯერჯერობით ჩვენთვისაც უცნობია. რაც შეეხება შევსებას, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „მეტალურგიდან" ცომაია, „ლოკომოტივიდან" კაკუბავა და „მარგვეთიდან" მაღრაძე დაგვემატებიან. ბევრი ახალწვეული გვყავს ფარმ-კლუბიდან. თსუ-ში გადმოვლენ აგრეთვე ყოფილი მეტალურგი ჭიაბრიშვილი, გორელი ჩალაძედა ვიტელები კახა ჭუმბურიძე და ილურიძე.

რაც შეეხებათ, აქამდე „ლოკომოტივში" მოვარჯიშე თენგიზ კობიაშვილს და ოთარ როსტიაშვილს, ისინი ახალ სეზონში კვლავ თსუ-ს ღირსებას დაიცავენ.

**— გავიგეთ, ერთი საკონტროლო თამაშიც ჩაგიტარებიათ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— გუშინწინ მცხეთაში „მერანს" შევხვდით და 2:2 ვეთამაშეთ. ახალწვეულებს არ უთამაშიათ. შეხვედრამ თსუ-ს შემადგენლობის ძირითადი მონახაზი დაგვანახა.

**— შარშანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში თქვენმა გუნდმა ქართველ გულშემატკივრებს ერთგვარი სიურპრიზი მოუმზადა. სეზონი კი ცუდად ჩაამთავრეთ.**

— მეცხრე ჩემპიონატის წინ ორი შეკრება გავიარეთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ თუ გუნდმა მინიმუმ თვენახევრიანი შეკრება არ გაიარა, ათდღიანი მზადების ხარჯზე შორს ვერ წავა. სწორედ კარგმა მომზადებამ განაპირობა ჩვენი შარშანდელი ბრწყინვალე სტარტი. ხუთი თამაშის ზედიზედ მოგება ცოტა ძნელიც კია. ასეთი რამ მხოლოდ „დინამოს" თუ შეუძლია. პირველი წრე მეოთხე ადგილით დავამთავრეთ და ლიდერებს სულ ცოტათი ჩამოვრჩებოდით, მაგრამ შემდეგ ფინანსურად ჩავვარდით. მეორე წრის წინ მხოლოდ თხუთმეტდღიანი შეკრება ჩავატარეთ და სეზონიც უფერულად ჩავამთავრეთ. ფინანსური პრობლემები რომ არა, თსუ ევროთასების ერთ-ერთ საგზურს აუცილებლად დაეუფლებოდა.

**— თუ გამოსწორდა ამ მხრივ მდგომარეობა?**

— ჯერჯერობით არა. თუმცა, იმედები არის. იცით, ყველაზე უფრო რუსიას გუნდიდან წასვლას განვიცდი. მას ხელფასიც კი ვერ გადავუხადეთ ბოლომდე. ახლა ბათუმში იმყოფება და, როგორც გავიგეთ, მისით ძალიან კმაყოფილები არიან. მართალია, მამუკას კონტრაქტით კიდევ ერთი წელი თსუ-ში უნდა ეთამაშა, მაგრამ დევნილი ბიჭია და ამ ფაქტორს ანგარიში გავუწიეთ.

**— გამოდის, რომ გუნდი, ფაქტობრივად, ულიდეროდ დარჩა.**

— შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ გამოკვეთილი ლიდერი ბევრს არ ნიშნავს, მთავარია, გუნდი კოლექტიური თამაშით იყოს ძლიერი. იცით, ლიდერმა შეიძლება ერთი თამაში მოგაგებინოს, მაგრამ მთლიანობაში შეხვედრის ბედს ფეხბურთელების თანაბრად ძლიერი და შეთანხმებული მოქმედება წყვეტს.

**— ახალი სეზონის კალენდარზეც მოგვახსენეთ თქვენი აზრი.**

— ვფიქრობ, იგი ნორმალურად არის შედგენილი.

**— მეათე ეროვნულში გუნდის გაწვრთნაში ვინ დაგეხმარებათ?**

— ვინც აქამდე მეხმარებოდა — ელგუჯა ხუციშვილი და ავთო ნებიერიძე. მხოლოდ სამედიცინო პერსონალი შეიცვლება, რადგან გუნდის ექიმი „არსენალში" გადაბარგდა.

**— ქართული კლუბების ევროთასებზე გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— მე რომ არ ვთქვა, ალბათ, ხალხისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია. არ იყო ის დონე და თამაშის ხარისხი, რომელსაც ყველა გულშემატკივარი ელოდა. მიუხედავად უპირატესობისა, ვერც „დინამომ" აჩვენა ის ფეხბურთი, როგორიც უნდა ეთამაშა. „კოლხეთიც" სუსტად გაისარჯა. კი, მართალია, ფოთელებს მეტად ძლიერი მოწინაალმდეგე ჰყავდათ, მაგრამ ასეთი ანგარიშით მაინც არ უნდა დამარცხებულიყვნენ. მთლიანობაში ჩვენი გუნდების საევროთასო ასპარეზობას უარყოფითად ვაფასებ, თუმცა გული არ უნდა გავიტეხოთ. ყოველივე ჩვენმა შეჭირვებულმა ყოფამ მოიტანა. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება და ქართული კლუბებიც უფრო წარმატებით იასპარეზებენ. ვფიქრობ, დღესდღეობით ჩვენი გუნდების ევროსარბიელზე თამაში უფრო მოსამზადებელი პერიოდია, რომელიც კლასის დახვეწასა და გამოცდილების შეძენაში გვეხმარება. წარუმატებლობის შემთხვევაში არაფრით არ შეიძლება კლუბის დაშლა, ეს ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს.

**— რა მიზნები აქვს თსუ-ს მომავალ ჩემპიონატში და რომელი კლუბები მიგაჩნიათ საიუბილეო გათამაშების ფავორიტებად?**

— საერთოდ ყველა გუნდმა, რაც უნდა სუსტი იყოს, ყოველთვის მაღალი მიზანი უნდა დაისახოს. რა გამოვა, სხვა ამბავია. ჩვენ შევეცდებით, კარგი ადგილისთვის ვიბრძოლოთ, მაგრამ გარანტიას არ ვიძლევით. თსუ თავის გულშემატკივრებს მხოლოდ იმას თუ დაპირდება, რომ თავს არ დაზოგავს. რაც შეეხება ფავორიტებს, ესენი, რა თქმა უნდა, დინამოელები და ბათუმელები არიან. ამ უკანასკნელებს ხომ კარგი ხელშეწყობა აქვთ და შემადგენლობაც სტაბილური ჰყავთ. ურიგო გუნდი არც თბილისის „ლოკომოტივს" ეყოლება. „კოლხეთსა" და „ტორპედოზე" კი იმას ვიტყვი, რომ თუ ეს კლუბები არ დაიშალა, მათაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის კარგი შანსები აქვთ.

**— ბატონო ოთარ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ვის დაუჭერთ მხარს?**

— კონკრეტულად ვერ გეტყვით. თუმცა, თუ ჩივაძე კვლავ დაასახელებს თავის კანდიდატურას, ხმას მას მივცემ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ კლუბი მე ამირჩევს ყრილობის დელეგატად. ამ საქმეში საშა სხვებთან შედარებით გამოცდილია. მას ახალკაცთან ერთადაც უმუშავია. თუ ჩივაძემ არ იყარა კენჭი, მაშინ სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დაფიქრება მმართებს.

**ხვიჩა სანიკიძე**

### ტრანსფერი 98

#### წავიდნენ

| | |
|---|---|
| ბათიაშვილი | *დინამო* |
| ლ. მელქაძე | *დინამო* |
| რუსია | *ბათუმი* |
| ვერემჩუკი | *ბათუმი* |
| ყოლბაია | *არსენალი* |
| დევიძე | *მერანი* |
| ხარებავა | *მერანი* |
| ჩხაიძე | *მერანი* |
| გიორგი ქორიძე | *ლოკომოტივი* |
| კ. მელქაძე | *?, საბერძნეთი* |

#### მოვიდნენ

| | |
|---|---|
| ცომაია | *მეტალურგი* |
| კაკუბავა | *ლოკომოტივი* |
| მაღრაძე | *მარგვეთი* |
| ჭიაბრიშვილი | *მეტალურგი* |
| ჩალაძე | *დილა* |
| გ. ილურიძე | *ვიტ ჯორჯია* |

## არსენალი

საბოლოო ადგილი წინა ჩემპიონატში: დებიუტანტი

# ქართული ჯარის არსენალი

მეათე ეროვნულ ჩემპიონატამდე კვირაღა რჩება. იქნებ, ნიშანდობლივიც იყოს, რომ იგი დედაქალაქში დერბით, უცვლელი ჩემპიონის „დინამოსა" და პირველი ჯგუფის დებიუტანტ არმიელთა გუნდის შეხვედრით იწყება. არმიელთა გამოსვლას ახალ გათამაშებაში ბევრი განსაკუთრებული ინტერესით ელის და ეს გასაგებიცაა. ოთარ კორღალიძემ თავისი სამწვრთნელო დებიუტი გუნდის დაწინაურებით აღინიშნა. არმიელებმა მართლაც დამაჯერებლად მოიგეს მეორე ჯგუფის ტურნირი და ბუნებრივია, არც პირველში დარჩებიან სტატისტებად. ამის თქმის უფლებას გუნდის მიერ მოსამზადებელ პერიოდში გაწეული მუშაობა გვაძლევს. *ოთარ კორღალიძესთან* ჩვენი საუბრის თემაც სწორედ ამას შეეხებოდა.



კორღალიძემ მწვრთნელადაც ივარგა

### ტრანსფერი 98

#### წავიდნენ

ფანცულაია *?*
პოზოიანი *?*
დობორჯგინიძე *?*
ჭელიძე *?*
გულაშვილი *?*

#### მოვიდნენ

გიორგი ლომიძე *დილა*
ყოლბაია *თსუ*
კაკაშვილი *შსს აკადემია*
ქიქავა *გურია*
კორღალიძე *დინამო 2*

— წინა გათამაშებაში კლუბის მესვეურთ ნდობა გავუმართლეთ და დასახულ მიზანს მივაღწიეთ, პირველ ჯგუფში გადმოვედით. ახლა ჩვენი ამოცანაა ჯგუფში დავმკვიდრდეთ. ახალი სეზონისთვის მზადება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარვმართეთ. იგი ოთხ ეტაპს მოიცავდა. საწყისი შეკრება თბილისში გვქონდა და ეს პერიოდი მოთამაშეთა ფიზიკურ წვრთნას დავუთმეთ. მერე ურეკში ჩავედით და საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. სამჯერადად ვვარჯიშობდით, მონაცვლეობით ქვიშაზე და გრიგოლეთში „გურიის" საწვრთნელი ბაზის მოედანზე. ორმხრივ თამაშებთან ერთად ორი საკონტროლო შეხვედრაც გვქონდა. შესუსტებულ „ბათუმს" 4:2 მოვუგეთ, ურეკის გუნდსაც ვეთამაშეთ და დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. ამის შემდეგ თბილისში დავბრუნდით და იქ განვაგრძეთ წრთვნა. ამ პერიოდში ამხანაგურად „მერანს" გავეჯიბრეთ და მასაც მოვუგეთ 1:0. მზადების დასკვნით ნაწილს წყალტუბოში გავდივართ. თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში ტრადიციულად საუკეთესო პირობებს გვიქმნიან. გვსურდა, ეს ეტაპი საკონტროლო თამაშებით დაგვეტვირთა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. იმერულმა გუნდებმა ჩვენთან თამაშს, რატომღაც, თავი აარიდეს, ამიტომაც ისევ ქობულეთში მოგვიწია ჩასვლა, „ბათუმს" მეორედ შევხვდით და ამჯერადაც ვძლიეთ. ბიჭებმა მაგრად იბრძოლეს, თუმცა თამაშის ხარისხმა მაინცდამაინც არ დამაკმაყოფილა. 31 ივლისს ფოთის მეორე გუნდთან ჩავალთ სათამაშოდ. 1 აგვისტოს კი წყალტუბოში გაგრის „დინამოსთან" მოვსინჯავთ ძალას და სულ ეს იქნება. ამის შემდეგ „დინამოსთან" ჩემპიონატის სასტარტო მატჩი გველოდება.

**— გუნდში რა ცვლილებებია?**

— ძველი შემადგენლობიდან ხუთი მოთამაშე გვაკლია. ფანცულაია, პოზოიანი, დობორჯგინიძე, ჭელიძე, გულაშვილი. ვეტერანებმა ფანცულაიამ და პოზოიანმა წინა სეზონში, რაც შეეძლოთ, გუნდს დაეხმარნენ. მათი მადლობელი ვართ. ჩვენ ისინი არ გაგვიშვია. ალბათ, თავად ჩათვალეს საჭიროდ. წლებს თავისი მიაქვს, პირველ ჯგუფში კი გაცილებით მკაცრი მოთხოვნებია. მათი წასვლის მიზეზიც, ალბათ, ეს არის.

დამატებით კი ხუთი ფეხბურთელი დავიმატეთ. გიორგი ლომიძე „დილადან", ლაშა ყოლბაია თსუ-დან, აკაკი კაკაშვილი შსს „აკადემიიდან", ზვიად ქიქავა „გურიიდან" და ჩემი ვაჟი ლევან კორღალიძე, რომელიც „დინამო 2"-ში თამაშობდა. ხუთივე ეს ბიჭი ძირითადის ხალხია, ხუთი ახალი უკვე გუნდის თავიდან ჩამოყალიბებას ნიშნავს, მაგრამ ჩვენ ამ პროცესს, მგონი, უმტკივნეულოდ გადავიტანთ.

**— რა შანსები აქვს თქვენს გუნდს?**

— დარწმუნებული ვარ, ძნელი სეზონი გვექნება, როგორც ვთქვი, ფაქტობრივად, თავიდან ვყალიბდებით, მაგრამ გასავარდნად ნამდვილად არ შევიქმნით საქმეს. საამისო არაფერი გვჭირს, კონკრეტულ ადგილს ჩემპიონატში არავინ გვიგეგმავს. ალბათ, ათეულში ვიქნებით. რაც მთავარია, ჩვენ ყველა თამაშში თავს დავდებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— როგორ მიგაჩნიათ, გუნდის ყველა რგოლია სრულყოფილადაა დაკომპლექტებული?**

— თუ კაცი გუნდში გყავს, ე.ი. ენდობი. თავის გამოჩენის საშუალება კი ყველას აქვს.

**— გუნდის წვრთნაში ვინ გეხმარებათ?**

— როგორც ადრე, მამუკა აბუსერიძე და მამუკა გეგეჭკორი.

**— წინათ თქვენს გუნდს „ვეტერანებისგან შეკოწიწებულს" ეძახდნენ.**

— ახლაც გვყავს რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე, იგივე ფირცხალავა, მერაბ თევზაძე. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით. ისე, გუნდი საგრძნობლადაა გაახალგაზრდავებული.

**— ფარმ-კლუბიც ეყოლებათო?**

— ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილიცაა. რომ იცოდეთ, რა ამბავი იყო... გასინჯვა 70-ზე მეტმა ბიჭმა გაიარა. საუკეთესოები დავიტოვეთ. ამ გუნდს ვალერი ცანავა გაწვრთნის. მომავალში შევსებას აქედან უნდა ველოდოთ.

**— კიდევ ერთი სიახლე. ამიერიდან გუნდი „არსენალის" სახელით ითამაშებს. ეს საიდან?**

— დაახლოებით ორი კვირის წინ მოხდა ამ კლუბის დაფუძნება. პრეზიდენტად გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილია არჩეული. სხვათა შორის, „არსენალი" მისი იდეა გახლდათ.

**— ლონდონელ და ტულელ მეთოფეებს საქართველოშიც გამოუჩნდნენ მიმდევარნი...**

— ქართული „არსენალი" მთელი ჩვენი ერის გუნდია, იმედი მაქვს, ხელშეწყობა და ქომაგობა არ მოგვაკლდება. დანარჩენი ჩვენზეა.

**იუზა ქაციტაძე**

P.S. ყოფილი არმიელები სად წავიდნენ, ოთარ კორღალიძემ ვერ გვიპასუხა.

# მიკალევს რაღა უნდოდა?

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი
29 ივლისი. ტირანა. ქემალ სტაფა. 5 000 მაყურებელი

## ვლაზნია 3:1 დინამო

1:0 კუნგუ (12), 2:0 მილოტი (87), 2:1 აშვეთია (89), 3:1 ნოგა (90პ)

კობა ინასარიძე
ტირანადან





REUTERS ტირანიდან

ლევან ცქიტიშვილი ილირ ბიზის (№7) და შეჩერებას ამაოდ ლამობდა

თამაშის დღეს ტირანაში ოდნავ აგრილდა, მაგრამ მაინც ჩახუთული ჰაერი ტრიალებდა. სუნთქვა ისევ ძნელი გახლდათ. ჩვენს დინამოელებს არც წინა ღამით უძინიათ ნორმალურად, თუმცა მატჩს ოპტიმისტურად უყურებდნენ. ასეთი ანგარიშით მარცხს, ალბათ ვერც წარმოიდგენდნენ, თუმცა... პირდაპირ თამაშზე გეტყვით.

25 ათასიან „ქემალ სტაფაზე" მაყურებელთა მეოთხედიც არ იყო. ხოლო ვინც „ვლაზნიას" ქომაგობდა, ყველანი შკოდერიდან ჩამოსულიყვნენ და იქაურობა აიკლეს. 5000 კაცმა „ვლაზნიას" მოაგებინა, თორემ ალბანელებს როგორი ფეხბურთელებიც ჰყავთ, თბილისშიც ნახეთ. დიახ, 3:1 უფრო მაყურებელთა და მალტელი მსაჯის დამსახურებაცაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა „დინამოს" შტურმისმაგვარი მოუწყვეს, მაგრამ ჩვენები ჭკვიანური ტაქტიკით დაუხვდნენ მეტოქეს და მე-12 წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა. ხურცილავამ ლიბეროობა სხვებზე მეტად გამოცდილ ცქიტიშვილს დაავალა, გამთამაშებლობა კობიაშვილს, წინ კი ხომერიკი — მუჯირის დუეტი გაამწესა. „დინამო" მთელი გუნდით თავს იცავდა და ბურთთან პირველივე შეხებით სწრაფ კონტრშეტევაზე გადადიოდა.

ალექსიძე და კობიაშვილი ხშირად ამარაგებდნენ გრძელი პასებით თავდამსხმელებს. ასე, ნელ-ნელა დინამოელები მეტოქის საჯარიმოს უახლოვდებოდნენ, მეათე წუთზე კი კობიაშვილმა მეტად რეალური მომენტი გააცუდა, როცა გრიმასთან თითქმის პირისპირ დარჩენილმა ბურთი კარს ააცილა. ვერ გაიტან, გაგიტანენო — ნათქვამია. ჰოდა, ალბანელებმა მოაბრუნეს შეტევა, კუთხურის უფლება მოიპოვეს, იქიდან ჩაწოდებულის შემდეგ კი ქართველი მცველები დააბნიეს. ბურთი საჯარიმოში ტრიალებდა, ბოლოს კუნგუმ იყოჩაღა, იქვე მდგარ მილოტს დაუგორა და ანგარიშიც გაიხსნა. აბა, მაშინ გენახათ რა დღეში იყვნენ იქაური ფანები. „ვლაზნიასაც" გული მიეცა, „დინამოს" შეუტია, მაგრამ ხშირად ეპარებოდათ ჩვენების იერიშები. იერიშები, რომლის დროსაც მუჯირი, ხომერიკი, კობიაშვილი, არ ვაჭარბებ, უბრალოდ, ვალდებულნი იყვნენ, გოლი გაეტანათ. ხან მეკარეს უმიზნებდნენ, ხანაც კარს აცილებდნენ. ასეთი უილბლობა თბილისში მეტოქის კარში ერთხელ დამრტყმელ „ვლაზნიას" უფრო აგულიანებდა და მათაც ვერ გამოიყენეს კარგი მომენტები, თუმცა ამათი თბილისელთა შანსებთან მოტანა უაზრობა იქნება. ასპროცენტიანებს რომ ვეძახით, ისეთი მომენტები ვერ გაიტანეს დინამოელებმა.

გრიმას კარი მოჯადოებულს ჰგავდა. გოლი არა და არ გადიოდა, სამაგიეროდ კი, მოხდა ის, რამაც მასპინძლებს „ატლეტიკთან" შეხვედრის დიდი იმედი ჩაუსახა. მსაჯმა კობიაშვილი გააძევა — რისთვის ვერ გავიგე. ამ მომენტამდე გაფრთხილებულმა კობიმ დაჯარიმებისთვის უკმაყოფილება ბურთის მინდორზე დახეთქებით გამოხატა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მალტელი არბიტრისთვის, რათა სტუმრები ათნი დაეტოვებინა. „დინამოს" თამაში აერია, მეოთხე მსაჯმა ხალხს ამცნო, 4 წუთს ვამატებთ პირველ ტაიმსო. უკვე მართლაც რეალური იყო, „დინამო" სამარცხვინოდ გამოვარდნილიყო პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ჩვენებმა ცხრა წუთი გაძლეს და შეისვენეს. მზით გათანგულებმა ოდნავ შვება იგრძნეს, მაგრამ წინ მეორე 50 წუთი იყო. დიახ, 50, რადგანაც 5 წუთიც მსაჯმა მეორე ტაიმს დაამატა.

აი, მაშინ კი ნაღდად ნერვიულობდნენ „ქემალ სტაფაზე" მყოფი ქართველები. „ვლაზნიამ" კვლავ შეუტია, მსაჯიც ცოტცოტას უსტვენდა, ოღონდ ძირითადად ალბანელთა სასარგებლოდ. ხანდახან ტყუილ ჯარიმებსაც იგონებდა და „დინამოს" კონტრშეტევებს გზაში წყვეტდა. თუმცა, ყველაფრის მსაჯზე გადაბრალება, აბა, როგორ იქნება, როცა ქართველმა ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში შექმნილ მომენტებზე უკეთესი შანსები გააცუდეს. კაჩაი კი „ვლაზნიადან" გუშინ საუკეთესო იყო. მან სოლოლაშვილი დაბომბა, არ დამითვლია და ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ დაახლოებით 12-13-ჯერ ჩვენს მეკარეს უძლიერესად დაურტყა, თუმცა „შუმახერა" რკინასავით იყო, ერთი-ორჯერ უძნელესი ბურთიც აიღო. სოლოლაშვილს არც გრიმა ჩამორჩა, მანაც ბევრჯერ იყოჩაღა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქართველი კოლეგის კარიდან დარტყმულს ნოგამ ფეხი ააცილა და ხომერიკი, რომელმაც იმ წამს ფრენჩი მოატყუა, მის ცხვირწინ იხილა. დინამოელი გრიმასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მეკარემ ჩვენებური დააბნია, თავდამსხმელის დარტყმულს ხელიც წააშველა და თავი კარის ძელს გადაარჩენინა. ეს ამბავი 55 წუთზე მოხდა, რომლის მერე „ვლაზნიამ" კვლავ ბევრჯერ გვანერვიულა, თუმცა ხომ გითხარით, ისეთი არაფერი გაუკეთებია, ჩვენების მომენტებს რომ შევადაროთ. ისინი ძირითადად შორიდან ურტყამდნენ. სადღაც 70-ე წუთისთვის თამაში დაწყნარდა, ალბანელები თითქოს შეგუებულნი ჩანდნენ, რომ სამ უპასუხო გოლს ვეღარ შეაგდებდნენ, თანაც ამ დროისთვის ხურცილავამ გადაღლილი ხომერიკი აშვეთიათი შეცვალა, რომელიც თამაშში საკმაოდ აქტიურად ჩაერთო და შეიძლება ითქვას, თბილისში „ატლეტიკის" ხილვის საშუალება მოგვცა. სწორედაც რომ ასეა, თორემ მილოტის ულამაზესად შესრულებულ, სანახევროდ მაკრატელათი გატანილ მეორე გოლს შეიძლებოდა მესამეც მალევე მოჰყოლოდა. მაგრამ მიხომ ივაჟკაცა: „დინამოს" ცენტრიდან დაწყებული იერიში და ცქიტიშვილის პასი ჭვინტის კვრით და შორეულ კუთხეში გატანილი გოლით დაასრულა.

თამაშს აზრი დაეკარგა, „ქემალ სტაფას" ტრიბუნებიც ნელ-ნელა დაცარიელდა, ქართველებმა კი კვლავ ვერ გაიტანეს გასატანი. აშვეთიამ ამჯერად წინანდელის მსგავს სიტუაციაში ვერ ივარგა, გრიმა ეშმაკობას მიუხვდა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, ჩვენებს გოლი შეგნებულად არ გაჰქონდათ. გრიმა რომ გმირად აქციეს, ქართველი ფეხბურთელების დამსახურებაა.

მოკლედ, მატჩი 2:1 უნდა დასრულებულიყო, როცა სათადარიგო მსაჯმა ხუთ წუთს ვამატებთო, გვანიშნა, მიკალევმა კი საერთოდ გადარია ფეხბურთელებიცა და მწვრთნელებიც. მელქაძე იმ ჯაჭჯას, რომლის შეცდომით მორგებულმა №14 მაისურმა დაღუპა კიდეც „ვლაზნია", საერთოდ არ შეხებია, მსაჯი ოდნავ შეყოვნდა და თითი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. ნოგამ შანსი გამოიყენა და „ვლაზნიასაც" ისე მოაგებინა, კაცმა შეიძლება იფიქროს, ცოდვაა ალბანელთა გავარდნაო, მაგრამ არა, მერწმუნეთ, 3:1 წაგებულ მატჩშიც კი „დინამო" მეტოქეს სჯობნიდა. ანგარიში ყველაფერს არ გამოხატავს. თუმცა მაინც, „ვლაზნიასთან" ასე წაგება მეტყველებს, რომ „დინამოს" და საერთოდ ქართულ საკლუბო ფეხბურთს აშკარად ცუდი დროება უდგას.

ვლაზნია

1. გრიმა
6. ნოგა
2. ზმიანი — 5. შკაბარი
4. პრენჩი
11. კაჩაი
8. ჰიზა — 10. კუნგუ — 3. ლიჩი
9. სინანი — 13. მილოტი

11. ხომერიკი
20. მუჯირი
8. ალექსიძე — 9. კობიაშვილი
21. კვარაცხელია
3. ჯელაძე — 19. გუჩუა
6. სახვაძე — 4. დიდავა
10. ცქიტიშვილი
1. სოლოლაშვილი

დინამო

შეცვლა: **შკაბარი — 15. ჯაჰჯა (51), ლიჩი — 7. ბიზი (62), ხომერიკი — 18. აშვეთია (69), მუჯირი — 15. ლ. მელქაძე (75), კვარაცხელია — 14. ქემოკლიძე (83)**

გაძევება: **კობიაშვილი (40)**
გაფრთხილება: **კობიაშვილი, ალექსიძე, გუჩუა, ბიზი**

მთავარი მსაჯი: **ა. მიკალევი (მალტა)**

### მატჩის შემდეგ

*ჰუსენ დედია,*
*„ვლაზნიას" მწვრთნელი:*

„დინამოს" თამაში ხუთი თითივით მქონდა შესწავლილი. თქვენები კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ დღეს მართლაც ფატალურად არ უმართლებდათ. ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ. „დინამოდან" კობიაშვილს, მუჯირსა და ხომერიკს გამოვყოფ, „ვლაზნიადან" კი სინანს, მილოტისა და მეორე ტაიმში ნოგა — კუნგუს. მსაჯობას რაც შეეხება, მგონი, კარგად უსტვენდა.

*მურთაზ ხურცილავა,*
*„დინამოს" მწვრთნელი:*

მსაჯობით განცვიფრებული ვარ. რას გვერჩოდა, ვერ გავიგე. ძალიან ცუდად განსაჯა მალტელმა არბიტრმა შეხვედრა. კობიაშვილი რატომ გააგდო ან პენალტი რატომ დანიშნა, ვერაფრით ამიხსნია. გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. მეტი შეეძლოთ, მაგრამ გამოუცდელობამ უმტყუნათ.

ვიცოდი, მეტოქე რომ უკანმოუხედავად შემოგვიტევდა და კონტრშეტევაზე თამაში ვარჩიე. ამის შედეგი იყო კიდეც უამრავი გამოუყენებელი მომენტი.

მსაჯობამ ფეხბურთელებზეც იმოქმედა, მეტოქე შეგულიანდა, ჩვენები კი დაიბნნენ და შეცდომებსაც უმატეს.

### ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 29 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

სენტ პატრიკი (ირლანდია) — *სელტიკი (შოტლანდია)* 0:2 (0:0)
**0:1 ბრატბაკი (12), 0:2 ლარსონი (71)**
ვესტმანაეიარი (ისლანდია) — ობილიჩი (იუგოსლავია) 1:2 (0:2)
**1:0 ჰაფლიდასონი (26), 1:1 ვასილიევიჩი (60), 1:2 გროზდიჩი (89)**
ერევანი (სომხეთი) — *ჰიკი (ფინეთი)* 0:3 (0:2)
**0:1 ლეკოსუო (1), 0:2 ივაია (28), 0:3 ლეკოსუო (79პ)**
ჰალმშტადი (შვედეთი) — *ლიტექსი (ბულგარეთი)* 2:1 (0:2)
**1:0 საკირი (38), 2:0 არვიდსონი (42), 2:1 იოროლკოვი (76)**
ფლორა (ესტონეთი) — *სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი)* 3:1 (1:4)
**1:0 სმირნოვი (42), 2:0 ზელინსკი (46), 2:1 დანჩულესკუ (72), 3:1 ოპერი (81)**
ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — *ლკს (ლოძი, პოლონეთი)* 1:3 (1:4)
**0:1, 0:2 იაკი (45, 49), 1:2 სმირნოვი (53), 1:3 ნიესგუცკი (81)**
*მარიბორი (სლოვენია)* — კარედა (ლიტვა) 1:0 (3:0)
**1:0 ბალაიიჩი (78)**
ვლაზნია (შკოდერი, ალბანეთი) — *დინამო (თბილისი, საქართველო)* 3:1 (0:3)
**1:0 კუნგუ (12), 2:0 მილოტი (87), 2:1 აშვეთია (89), 3:1 ნოგა (90პ)**
ანორთოსისი (კვიპროსი) — ლა ვალეტა (მალტა) 6:0 (2:0)
**1:0 ჩივიჩი (16), 2:0 ხარალამბუსი (18), 3:0 ანდრეუ (45პ), 4:0 სოტირიუ (51), 5:0 ოკასი (71), 6:0 სოტირიუ (90),**
*უიპეშტი (უნგრეთი)* — ზიმბრუ (მოლდოვა) 3:1 (0:1)
**1:0 ნირიუტა (17), 1:1 კულიკი (28), 2:1, 3:1 კოვაჩი (73, 90)**
ჟენესი (ლუქსემბურგი) — *გრასჰოპერი (შვეიცარია)* 0:2 (0:6)
**0:1 ესპოზიტო (34), 0:2 თურქილმაზი (43)**
ბარი თაუნი (უელსი) — *დინამო (უკრაინა)* 1:2 (0:8)
**0:1 მიხაილენკო (11), 1:1 ვილიამსი (30), 1:2 ვენგლინსკი (50)**
*ბრიუგე (ბელგია)* — სილექსი (მაკედონია) 2:1 (0:0)
**1:0 ვერმანტი (14), 2:0 კლასენსი (30), 2:1 ბოზინოვი (76)**
*კოშიცე (სლოვაკეთი)* — კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) 8:0 (5:1)
**1:0 კოზაკი (4), 2:0 იანოჩკო (14), 3:0 ნემეცი (32), 4:0 იანოჩკო (54), 5:0 პროშაზკა (58), 6:0 რუსლანი (67), 7:0 პროშაზკა (72), 8:0 კოზლეი (86)**
დინამო (ბელარუსი) — *სკონტო (ლატვია)* 1:2 (0:0)
**1:0 ოსიპოვიჩი (26), 1:1 ასტაფიევი (45), 1:2 ნოვიკოვი (72)**
ტორსჰავენი (ფარერები) — ბეითარი (ისრაელი) 0:1 (1:4)
**0:1 ჰამარი (68)**



REUTERS გლაზგოდან

ბრიტანეთს დაბრუნებული კანჩელსკისი ირლანდიელთა შლაგბაუმმა ვერ შეაჩერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინო ძოფი: ჩემი იტალია შეუტევს!

შაბათს რომის ოლიმპიურ სტადიონზე დაახლოებით 250 ჟურნალისტს, უამრავ ფოტორეპორტიორსა და საინფორმაციო საშუალებების სხვა წარმომადგენლებს მეტად საინტერესო და სასურველ პიროვნებასთან მოუხდათ შეხვედრა. საქმე ისაა, რომ ამ დღეს იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ახალარჩეული დინო ძოფი პირველად წარდგა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე და ეროვნული გუნდის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.



REUTERS რომიდან

დინო ძოფის ნაუბარმა ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია

მზისგან გარუჯული და, როგორც ყოველთვის, დახვეწილი გემოვნებით ჩაცმული ძოფი პრესკონფერენციაზე ჩვეული სიდარბაისლით პასუხობდა ჟურნალისტების ათასგვარ, უმეტესად საჩოთირო კითხვებს, რაც იქ მყოფთ ლეგენდარული იტალიელის მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განაწყობდა.

მოგეხსენებათ, „სკუადრა აძურამ“ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე არცთუ დამაჯერებლად ითამაშა, რითაც უამრავი თაყვანისმცემლის გულისწყრომა დაიმსახურა. ამიტომ გასაკვირი სულაც არ გახლდათ, რომ მომავალში ძირფესვიანი ტაქტიკური ცვლილებების ხილვის მსურველი გულშემატკივრების ინტერესის მთავარ საგანს სწორედ ნაკრების სავარაუდო თამაშის სტილი და შემადგენლობა წარმოადგენდა.

ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე, კარს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი მატჩი მოგვადგა და იმ პერიოდისთვის ნაკრების სრულფასოვნად მომზადებას თუ შეძლებთო, ძოფმა უპასუხა:

„ყველამ კარგად იცით, რომ ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირს 5 სექტემბერს უელსის ნაკრების წინააღმდეგ გასამართი შეხვედრით ვხსნით. სერია A-ს მორიგი ჩემპიონატი კი მხოლოდ 13 სექტემბერს დაიწყება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ფეხბურთელებს სათანადო სათამაშო პრაქტიკის გარეშე მოუწევთ მოედანზე გასვლა.

თუმცა, იმედი მაქვს, აგვისტოში დაგეგმილ ამხანაგურ თამაშებში მაინც მოვახერხებთ ნაკრების კანდიდატების მზადყოფნის შემოწმებას და უელსელებთან საბრძოლველად მათგან საუკეთესოებს ვუხმობთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეროვნული გუნდის კარი დახურული არავისთვის იქნება, ის კი არა, რამდენიმე სიურპრიზსაც ვგეგმავთ“.

როგორც ჩანს, 56 წლის ძოფი ნაკრების შემადგენლობის გადახალისებას აპირებს, თუმცა ამჯერად ახალი გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა.

სამაგიეროდ, ჩეზარე მალდინის შემცვლელმა ისეთი სიახლე გაანდო ჟურნალისტებს, რომ ეს უკანასკნელნი ერთმანეთს გაკვირვებით უყურებდნენ, ნუთუ მართლა გველირსება და იტალიის ნაკრები უფროსი მალდინის მიერ დამკვიდრებულ საძაგელ დაცვით სისტემაზე, ბოლოს და ბოლოს, უარს იტყვისო.

მოგეხსენებათ, დინო ძოფი 1996-97 წლის სეზონში ცოტა ხნით რომის „ლაციოს“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. კლუბის პრეზიდენტად გახდომამდე ყოფილი მეკარე რომაელებს 4-4-2 სისტემით ათამაშებდა და ეს მონახაზი ეროვნული ნაკრებისთვისაც ყველაზე მართებულად მიაჩნია.

— „ლაციოს“ კლასიკური 4-4-2 სქემით ვათამაშებდი, რისი წყალობითაც კლუბი საკმაოდ კარგ შედეგებს აღწევდა. არადა, დღესდღეობით სერია A-ში მოასპარეზე გუნდების უმეტესობა მალდინის საყვარელ 5-3-2 განლაგებას არჩევს. ჩეზარესდროინდელი ნაკრებიც ხომ ასე ირჯებოდა: ოთხ მცველს უკან ერთი ლიბერო უმაგრებდა ზურგს, რაც დაცვის ხაზს თითქმის გაუვალს ხდიდა, თუმცა ასეთი წყობის ნაკლი ყველაზე მტკივნეულად თავდასხმაში თამაშისას შეიმჩნეოდა, რამაც საბოლოოდ საფრანგეთში განცდილ მარცხამდე მიგვიყვანა.

ისიც სათქმელია, რომ თანამედროვე ფეხბურთში პროგნოზები გაძნელდა. ახლა თითოეულ გუნდს ინდივიდუალური ტაქტიკა გააჩნია. არ არსებობს რალაც დადგენილი მონახაზი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება.

მაგალითად თუნდაც საფრანგეთის ნაკრები იკმარებს. ამ გუნდმა ხომ მსოფლიოს პირველობა სულაც ერთი თავდამსხმელით მოიგო. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, პირადად მე უპირატესობას ორი ფორვარდით თამაშს ვანიჭებ.

ასე რომ, ჩემი ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურა“ დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი არაფრით იქნება.

თუ გუნდი სახიფათოდ ვერ შეუტევს, ეს მხოლოდ კარგად მოთამაშე მოწინააღმდეგის დამსახურება იქნება, სხვა შემთხვევებში კი შევეცდებით, თავდასხმაზე ვიფიქროთ და იმავდროულად არც საკუთარი კარის უსაფრთხოება დაგვავიწყდეს. მთავარია, ამ ორ რგოლს შორის წონასწორობა დამყარდეს და თუ ამას მოვახერხებთ, მაშინ მართლაც უძლიერესები გავხდებით — აცხადებს დინო ძოფი, რომელმაც არ ისურვა, თავისი ახლანდელი საქმიანობა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფალურ გამარჯვებასთან შეედარებინა.

— არა მგონია, ამ ორი მოვლენის შედარება მართებული იყოს. თექვსმეტი წლის წინ მე იმ გუნდის მეკარე გახლდით, რომელმაც უპირველესი საფეხბურთო ტურნირი მოიგო. ახლა კი ნაკრების მწვრთნელის პოსტზე პირველ ნაბიჯებს ვდგამ და 1982 წლისგან განსხვავებით, ჯერჯერობით არანაირი შედეგისთვის არ მიმიღწევია.

**ირაკლი ხმელიძე**

# მომავალს მნიშვნელობა აღარ აქვს

მარიო ზაგალომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა დასტოვა და განაცხადა, რომ გულში წყენა არაფერზე გაუვლია, შემდეგ კი როგორც სჩვევია, თავის დიდ წარმატებათა ნუსხას ჩამოუყვა.

„სარბიელს ამყად ვტოვებ. ხუთჯერ ვახლდი ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე და აქედან ოთხჯერ ჩემპიონები, ერთხელ კი ვიცეჩემპიონები გავხდით“ (მარიო ზაგალო აქ ფაქტებს ურევს. ის როგორც ფეხბურთელი, მონაწილეობდა 1958 და 1962 წლების პირველობებში, მთავარი მწვრთნელი გახლდათ 1970, 1974 და 1998 წლებში, 1994 წელს კი კარლოს ალბერტო პარეირას ასისტენტი იყო) — განუცხადა მან სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს სატელეფონო ინტერვიუში.

როგორც უკვე გაუწყეთ, ორშაბათს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, რიკარდო ტეშეირამ ნაკრების ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით გაათავისუფლა და განაცხადა, სერიოზული ცვლილებების დრო დაგვიდგაო. დათხოვნის წინ ტეშეირამ შეაქო ზაგალო, აღნიშნა, რომ გუნდმა საფრანგეთში ფინალის გარდა საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ წინ ახალი ამოცანებია და გონება 2002 წლის ჩემპიონატისკენ იცქირებაო.



სარბიელის არქივიდან

მარიო ზაგალო

ზაგალომ თავის მხრივ არც ფინალში დაიწუნა თავის ქვეშევრდომთა მოქმედება. მან თქვა, ფრანგების წინააღმდეგ ნათამაშევითაც ვამაყობ, უბრალოდ მთავარ ვარსკვლავს რონალდოს შეხვედრის წინ ნერვებმა უმტყუნა და ამან სხვებზეც იმოქმედაო.

„ახლა იმ დღის დაბრუნება და მოვლენათა შეცვლა რომ შემეძლოს, ერთადერთი, რასაც თავიდან ავირიდებდი, რონალდოს სტრესი გახლავთ, მაგრამ ეს ნათქვამი ნაკრების ექიმთა საყვედურად არ ჩამომართვათ. მათ თავიანთ საქმეს ჩინებულად გაართვეს თავი“ — ბრძანა აწ გადამდგარმა ხელმძღვანელმა.

მან დასძინა, რომ ფინალისა და სხვა თამაშების შედარებისას თვალშისაცემია, რომ რაღაც შეიცვალა.

„თუ ფინალს და ნახევარფინალს შევადარებთ, აშკარად დავინახავთ, რომ გუნდმა საფრანგეთთან სულ სხვანაირად ითამაშა, ვიდრე ჰოლანდიასთან“.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპინატიდან შინ დაბრუნების შემდეგ გულშემატკივრებმა ფეხბურთელები უგულოდ მიიღეს, ზაგალოს მიმართ კი უარყოფითი ემოცია არ გამოუხატავთ.

„რას ვიზამ მომავალში? ალბათ, რომელიმე ბრაზილიურ კლუბს გავწვრთნი, თუმცა გადაჭრით ვერაფერს გეტყვით“ — თქვა ბოლოს ზაგალომ, ნაკრებში მის შესაძლო შემცვლელზე საუბრისგან კი თავი შეიკავა.

## რუსეთი

**მე-18 ტური.** სპარტაკი — დინამო 2:0, ტორპედო — ზენიტი 1:3, ცსკა — ლოკომოტივი 0:1, ტიუმენი — ჟემჩუჟინა 0:1, კრილია სოვეტოვი — ურალანი 2:0, როსტსელმაში — შინიკი 0:2, როტორი — ჩერნომოროეცი 3:0, ბალტიკა — ალანია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 11 | 5 | 2 | 23:11 | 38 |
| ზენიტი | 18 | 9 | 7 | 2 | 29:13 | 34 |
| ლოკომოტივი | 18 | 8 | 5 | 5 | 19:13 | 29 |
| ჟემჩუჟინა | 18 | 8 | 5 | 5 | 20:17 | 29 |
| როტორი | 18 | 7 | 8 | 3 | 35:22 | 29 |
| ალანია | 18 | 7 | 7 | 4 | 26:19 | 28 |
| როსტსელმაში | 18 | 7 | 7 | 20 | 27:23 | 28 |
| შინიკი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:20 | 25 |
| ურალანი | 18 | 6 | 6 | 6 | 20:19 | 24 |
| კრილია | 18 | 6 | 3 | 9 | 15:25 | 21 |
| ცსკა | 18 | 5 | 5 | 8 | 21:20 | 20 |
| ტორპედო | 18 | 4 | 8 | 6 | 19:21 | 20 |
| ბალტიკა | 18 | 4 | 7 | 7 | 16:26 | 19 |
| ჩერნომოროეცი | 18 | 3 | 9 | 6 | 21:24 | 18 |
| დინამო | 18 | 3 | 9 | 6 | 14:18 | 18 |
| ტიუმენი | 18 | 1 | 1 | 16 | 7:47 | 4 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატი** ზლატკო ჩაიკოვსკი 74 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ეს ინფორმაცია მიუნხენის „ბაიერნის“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს. ჩაიკოვსკი 50-იან წლებში სწორედ ამ კლუბში თამაშობდა. იგი გერმანულ ფეხბურთში პოპულარულ და ავტორიტეტულ პიროვნებად ითვლებოდა. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ „ბაიერნის“ მწვრთნელად დაინიშნა. 1963-68 წლებში კლუბმა მისი თავკაცობით ორჯერ გერმანიის თასი მოიპოვა, ხოლო 1967 წელს თასების მფლობელთა თასიც მოიგო.

**გერმანელი მეკარე დირკ ჰაინენი მძიმედ დაშავდა და ექიმების ვარაუდით, ნახევარი წლით ჩამოშორდა ფეხბურთს. ლევერკუზენის „ბაიერის“ ძირითადმა გოლკიპერმა ტრავმა „არმინიასთან“ გამართულ საწვრთნელ მატჩში მიიღო, როდესაც ბილეფილდელ იორგ ბომეს შეეჯახა. ზუსტი დიაგნოზი მედიკოსებს ჯერ არ დაუდგენიათ. „მალიან სამწუხაროა, რომ დირკი ეჭვსით თვით გამოგვეყლდა. მისი არყოფნა ნამდვილად დიდ პრობლემებს შეგვიქმნის“ — განაცხადა „ბაიერის“ მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.**

**გერმანიის** ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი შტეფან როიტერი კლუბის ახალ კაპიტნად აირჩიეს. დორტმუნდელთა მწვრთნელის მიხაელ სიკბეს განცხადებით, „ბორუსიას“ ამიერიდან როიტერი უკაპიტნებს, ხოლო მოედანზე არყოფნის შემთხვევაში მას კოლერი შეცვლის.

**ჩეხეთის ნაკრების 30 წლის თავდამსხმელი პაველ კუკა გერმანიის ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნიდან“ პირველ ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებულ „ნიურნბერგში“ გადავიდა. კონტრაქტის ვადისა და სატრანსფერო თანხის გამჟღავნებისგან ორივე მხარე თავს იკავებს.**

**ნიგერიელი** გამთამაშებელი ჯეიჯეი ოკოჩა თურქეთის „ფენერბახჩედან“ საფრანგეთის „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა. სტამბულის კლუბის თავკაცებს ძალიან სურდათ ნიგერიელი მოთამაშის შენარჩუნება, მაგრამ ფეხბურთელის სურვილს წინ ვერ აღუდგნენ. პარიზელებმა ოკოჩას სანაცვლოდ 17 მილიონი დოლარი გაიღეს, არადა, 1996 წელს, როცა „ფენერბახჩემ“ ოკოჩა ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ თავისთან წაიყვანა, თურქებმა მხოლოდ 8 მილიონი დოლარი გადაიხადეს.

**ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბმა „ბადახოსმა“ არგენტინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ალეხანდრო მანკუსო გადაიბირა. მანკუსოს ადრე ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსში“ უთამაშია, ამასთანავე ქვეყნის ნაკრების ღირსება 28-ჯერ დაუცავს. იგი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. „ბადახოსის“ თავკაცებს მანკუსოს გაცილებით ცნობილი თანამემამულის, დიეგო არმანდო მარადონას შეძენაც აქვთ განზრახული.**

**ინგლისელი** კევინ კემპბელი, ვინაც გასული სეზონი პირველი დივიზიონის კლუბ „ნოტინგემ ფორესტში“ გაატარა, შესაძლოა, თურქულ „ტრაბზონსფორში“ გადავიდეს. ლონდონის „არსენალის“ ყოფილმა თავდამსხმელმა, რომელმაც „ნოტინგემში“ 23 გოლის გატანა მოახერხა, ორიოდ დღის წინ სტამბულს მიაშურა, სადაც „ტრაბზონსფორის“ თავკაცებს უნდა შეხვედროდა. არაოფიციალური ცნობების მიხედვით, კევინ კემპბელი თურქულ გუნდთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს, ნოტინგემელები კი ფეხბურთელის სანაცვლოდ 6,6 მილიონ დოლარს მიიღებენ.

**რუმინელი თავდამსხმელი იონ ვლადოიუ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების მწვრთნელ ანგელ იორდანესკუსთან უთანხმოების გამო არ გაემგზავრა, გერმანიის „კიოლნიდან“ რუმინეთის, კერძოდ კი ბუქარესტის „დინამოში“ გადავიდა. რუმინული გუნდის პრეზიდენტმა პეტრე ბუდურუმ განაცხადა, ვლადოიუმ ჩვენთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, 2001 წლამდე იგი ჩვენი იქნებაო. ბუქარესტელებმა ვლადოიუში „კიოლნს“ 280 ათასი დოლარი გადაუხადეს.**

**პორტუგალიელი** [illegible] ვინგადა, რომელმაც 1996 წელს საუდელთა გუნდს აზიის თასი მოაგებინა, ამიერიდან საამიროების კლუბ „ალ აინს“ უთავკაცებს.

**ჩილელი მცველი ხავიერ მარგასი „უნივერსიდად კატოლიკადან“ ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ გადაბარგდა. 29 წლის მარგასის გადაბირება ლონდონელებს ჯერ კიდევ წლის დასაწყისში სურდათ, მაგრამ ორშაბათამდე საწადელი ვერ აისრულეს. „ვესტ ჰემმა“ ფეხბურთელის სანაცვლოდ ჩილელებს 2,7 მილიონი გადაუხადა.**

**ესპანეთის** პრიმერა დივიზიონის კლუბ „ბეტისის“ მწვრთნელი ლუის არაგონესი მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა. ორიოდ დღის წინ მან განცხადება დაწერა, კლუბის პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ კი მწვრთნელის თხოვნა დააკმაყოფილა. არაგონესმა განაცხადა, „ბეტისიდან“ წასვლა არც ვინმესთან კონფლიქტს მოჰყოლია და არც სხვა რაიმე გართულების შედეგიაო. უბრალოდ, მწვრთნელს პირადული მიზეზი ჰქონია. მადრიდის „რეალის“ თავკაცის ხოსე ანტონიო კამაჩოს შემდეგ ლუის არაგონესი ესპანეთში მეორე მწვრთნელია, რომელიც სეზონის დაწყებამდე გამოეთხოვა კლუბს.

**გერმანიის ბუნდესლიგაში დაბრუნებული ფრანკფურტის „აინტრახტი“ პირველ ტურში თავდამსხმელ ურს გენტენსპერიგერს მოისაკლისებს. იგი დღესდღეობით შვეიცარიის ერთ-ერთ ციხეში იმყოფება და სამთვიან სასჯელს იხდის მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისათვის. 30 წლის გენტენსპერგერს ფრანკფურტელთა ხელმძღვანელობა მკაცრად დასჯას უპირებს.**

**პერუელი** მცველი ნოლბერტო სოლანო, შესაძლოა, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში ძლეულ „ნიუკასლში“ გადაბარგდეს. ჩრდილოინგლისელთა მწვრთნელს კენი დალგლიშს სოლანოსთვის კარგა ხანია, თვალი დაუდგამს. ამჟამად სოლანო არგენტინის „ბოკა ხუნიორსის“ კუთვნილებაა, თუმცა ბუენოსაირესელები თანახმა არიან, მცველი ნისლიან ალბიონზე გაუშვან. სატრანსფერო თანხა დაახლოებით 4,8 მილიონი დოლარია.

**შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ინგლისის „ბლექბერნ როვერსს“ შესთავაზა, კოლინ ჰენდრი დამითმე, სანაცვლოდ კი 2,5 მილიონ გირვანქას გიფეშქაშებო, მაგრამ ბლექბერნელებმა უარი განაცხადეს. „გლაზგო რეინჯერსი“ 32 წლის კოლინ ჰენდრის ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს.**

**ტრინიდადელი** დუაიტ იორკი, შესაძლოა, „ასტონ ვილადან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადაბარგდეს. ბირმინგემელთა თავკაცმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, ალექს ფერგიუსონმა იორკის სანაცვლოდ 13 მილიონი დოლარი შეგვაძლია, არაა გამორიცხული, დუაიტი „ოლდ ტრეფორდზე“ გავუშვათო. დუაიტ იორკი ბოლო სამი სეზონია, „ასტონ ვილაში“ თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში 56 გოლის გატანაც მოახერხა.

**პორტუგალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კარლოს მანუელ კუიროსი საამიროების ნაკრების თავკაცად დაინიშნა. 45 წლის კუიროსი, რომელმაც პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებს 1989 და 1991 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები მოაგებინა, გუნდს შემდგომი ორი წლის განმავლობაში უთავკაცებს. საამიროების ნაკრებამდე კუიროსი პორტუგალიის გუნდს, ლისაბონის „სპორტინგს“, ამერიკულ „ნიუ ჯერსი მეტროსტარზს“ და იაპონიის „ნაგოია გრამპუსეითს“ წვრთნიდა.**

**არგენტინელი** არიელ ორტეგა ესპანური „ვალენსიიდან“ იტალიის „სამპდორიაში“ გადავიდა. ესპანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტის ხაიმე ორტის განცხადებით, არგენტინელმა გამთამაშებელმა გენუელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის განმავლობაში წელიწადში მილიონნახევარ დოლარს მიიღებს. „სამპდორიამ“ არგენტინელში 12 მილიონი დოლარი გადაიხადა.

**ავსტრიის ჩემპიონატის პირველი ტური. შტურმი — აუსტრია 2:0; ლინცერი — ლუსტენაუ 3:0; შტაირი — გრაცერი 0:1; ტიროლი — რიდი 1:0. რაპიდი — ზალცბურგი გადაიდო.**

სარბიელის არქივიდან



# მომაშორეთ ეგ მილიონები

მაიკლ ოუენი მსოფლიოს ჩემპიონატიდან შინ, ინგლისში გმირად დაბრუნდა და 25 მილიონი გირვანქის მომტან კომერციულ ხელშეკრულებებზე უარი განაცხადა.

დიახ, 18 წლის ლივერპულელმა მიუხედავად მთელი რიგი მსხვილი კომპანიების დაჟინებისა, ფანტასტიკურ შემოსავალზე უარი განაცხადა.

მისმა მამამ, ტერი ოუენმა ურჩია შვილს, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრეო — ხმა გავრცელდა ინგლისში. მამის ასეთი დამოკიდებულება ძალიან მოეწონათ „ლივერპულის" ხელმძღვანელებს, რომელთა აზრით, კომერციული გიგანტების ბადეში გახვევა არა მხოლოდ ჭაბუკ ვარსკვლავს, არამედ გუნდსაც აუმღვრევდა მომავალს.

ყველაზე საბრალო ამ ისტორიაში ოუენის აგენტი, ტონი სტივენსი გამოვიდა. ეს კაცი, იმავდროულად ალან შირერის, დევიდ ბექემისა და დუაიტ იორკის წარმომადგენელიც რომ გახლავთ, გამალებულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხსენებულ ფირმებთან.

საცოდავმა სტივენსმა ხელები გაასავსავა, განაცხადა ფაქსის მანქანა ამდენი საქმიანი წინადადებისგან ლამისაა გადამეწვას, ტელეფონის ყურმილის დადებას ვეღარ ვასწრებ და ასეთ დროს უარი ძალიან გასაკვირიაო.

ოუენმა, გასულ კვირაში 55-ათაიან „იაგუარს" რომ მოახტა, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთადერთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

თავისთავად „იაგუარის" შეძენაც ნაწილობრივ კომერციული ნაბიჯი გამოდის, რადგან სიტვენსს აქვს კონტრაქტი მანქანათმწარმოებელ ამ ფირმასთან, რომლის შესაბამისად, შირერიც და ბექემიც „იაგუარში" გადასხდნენ, მაგრამ ზემოთ ერთადერთი ხელშეკრულება რომ ვახსენეთ, „უმბროსთან" გარიგება ვიგულისხმეთ.

უარით გასტუმრებულ კომპანიათა შორის დარჩნენ: „პეპსი", „კოკა-კოლა", „მაკდონალდსი", „მარკს ენდ სპენსერზი" და „ტესკო".

# გუშინ სტამბოლში

კლაუდიო ტაფარელი, ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, საფრანგეთი 98-ის ბრაზილიელი გმირი გუშინ თურქეთის ჩემპიონ, სტამბოლის „გალათასარაიში" გადავიდა. ეს ცნობა თურქული კლუბის პრესატაშემ გაავრცელა.

— ცნობილმა მეკარემ ჩვენთან ხელშეკრულებას დილით მოაწერა ხელი — თქვა თურგაი ვარდარმა — ამიერიდან იგი „გალათასარაის" წევრია.

„გალათასარაიმ" ჯერ კიდევ ივნისში განაცხადა, რომ 32 წლის გოლკიპერთან ყველაფერი გარკვეული აქვს და საქმე ტაფარელის სტამბოლში ჩასვლასა და კონტრაქტის ხელმოწერაზეღაა. სტამბოლელებს სასურველი მოთამაშის შესაძენად ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროსთვის" 3.5 მილიონი დოლარის გადახდა მოუხდათ.



კლაუდიო ტაფარელი

ტაფარელი ევროპაში მეორედ გადმობარგდა. ადრე იგი იტალიურ „პარმაში" გამოდიოდა.

შეგახსენებთ, რომ ამ სახელგანთქმულ მეკარეს, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში 101 შეხვედრა აქვს ჩატარებული, 1985 წელს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თბილისში ესპანეთთან, საუდის არაბეთთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან უთამაშია.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა პლანეტის ბოლო პირველობაზეც ჩინებულად ითამაშა — ნახევარფინალში ჰოლანდიის ნაკრებთან პენალტების სერიაში ორი დარტყმა მოიგერია.

# 1966 წლიდან დღემდე

ლეგენდარული გერმანელი ლიბერო ფრანც ბეკენბაუერი უდავოდ გამორჩეულია მეოცე საუკუნის საფეხბურთო სამყაროში. იგი გახლდათ მოთამაშე, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მცველის როლი ფეხბურთში და აჩვენა, რომ ამ ამპლუის წარმომადგენლებს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვის გარდა მინდორზე ბევრი სხვა რამის გაკეთებაც შეუძლიათ. მართლაც შეუდარებელი ფეხბურთელი 1974 წელს გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 1990 წელს იგივეს გამეორება უკვე მთავარი მწვთრნელის რანგში შეძლო.



ბეკენბაუერი, რომელსაც ხშირად კაიზერ ფრანცის სახელითაც მოიხსენიებენ, პირველად საერთაშორისო საფეხბურთო ასპარეზზე 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე გამოჩნდა. მან მალე მოიპოვა საყოველთაო აღიარება და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მილიონობით გულშემატკივრის გულში. ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ცნობილი გერმანელის მიერ ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის" კორესპონდენტ კეირ რედნიჯისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელშიც ბეკენბაუერი ფეხბურთში 1966 წლის შემდეგ მომხდარ ცვლილებებზე საუბრობს.

**— გულშემატკივართა უმეტესობამ თქვენი არსებობის შესახებ პირველად 1966 წელს ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე შეიტყო. მაშინ, თქვენდა სამწუხაროდ, ფინალურ შეხვედრაში მასპინძლებმა გერმანიის ნაკრები დაამარცხეს. როგორი გრძნობები გეუფლებათ, როდესაც იმ ტურნირს იხსენებთ?**

— გამოგიტყდებით, მაშინ თამაში ტაქტიკურად ასე არ იყო გართულებული, როგორც დღეს,მაგრამ ამაში სასირცხვილო არაფერია. ჩვენ ხომ ტაქტიკური სქემების განხილვით თავს დიდად არც ვიწუხებდით და ძირითადად გოლის გატანაზე ვფიქრობდით.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დღეს ტაქტიკას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ფეხბურთელთა ტალანტი და ტექნიკური მონაცემები კი არავის აინტერესებს. ოცდაათი წლის წინ სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ბურთს ხელთ ვიგდებდით, ყველას ერთადერთი მიზანი გვამოძრავებდა — როგორმე შეტევაზე გადავსულიყავით. ეს შეიძლება გულუბრყვილოდაც კი ჟღერდეს, მაგრამ ახლანდელი დროისგან განსხვავებით უკან არ ვიხევდით და არც იმაზე ვფიქრობდით, მოედნის გასწვრივ ბურთის გათამაშებით დრო როგორ გაგვეყვანა.

თუ წლევანდელ პირველობას 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს შევადარებთ, ისე გამოჩნდება, თითქოს ეს უკანასკნელი მოყვარულთა შეჯიბრი გახლდათ. მახსოვს, ინგლისში სულ თითზე ჩამოსათვლელი ჟურნალისტები და სატელევიზიო სადგურის წარმომადგენლები ჩავიდნენ.

ახლა მსოფლიოს ჩემპიონატებზე თითოეულ პრესკონფერენციას 400-ზე მეტი ადამიანი და 30-მდე ტელეკომპანია აშუქებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი გაცილებით მაღალ პროფესიონალურ დონეზეა.

**— 1966 წელთან შედარებით თავად ფეხბურთმა რა ცვლილებები განიცადა?**

— საინტერესოა, რომ ნაწილობრივ თამაშის შეცვლა ბურთების დამზადების ტექნოლოგიის ცვლილებამ გამოიწვია. ახლა ბურთები წყალშეუღწევადი მასალისგან მზადდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წვიმიან ამინდში ისინი არ იჟღინთება და, შესაბამისად, აღარც მძიმდება. ბურთები სულ უფრო სწრაფად ფრენს და მათთან ერთად სისწრაფეს თვით ფეხბურთელებიც უმატებენ. სხვაგვარად არც შეიძლება. ამქვეყნად ყველაფერი ვითარდება და ფეხბურთშიც დიდი ცვლილებები ხდება. თუმცა ერთი უნდა აღინიშნოს. გასულ წლებთან შედარებით თამაში ათლეტური, მაგრამ იმავდროულად ნაკლებად თვალსასეირო გახდა.

**— გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე საოცარი სტატისტიკური მაჩვენებელი აქვს. ამის საიდუმლოს ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

— გერმანულ გუნდებს საოცარი უნარი აქვთ, მეტოქეზე ზეწოლა მოახდინონ. არიან კლუბები, რომლებიც მშვენიერ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ თუ ყველაფერი მათი სურვილისამებრ არ აეწყო, თვითრწმენას კარგავენ. ჩვენ კი ასეთი რამ არასოდეს გვემართება. არის შემთხვევები, როცა გერმანელები მეორეანაც მესამეხარისხოვან გუნდებთან არასახარბიელოდ ირჯებიან, მაგრამ როგოც კი საქმე მსოფლიოს ფეხბურთის გრანდებთან — ბრაზილიასთან, იტალიასთან ან ინგლისთან შეხვედრაზე მიდგება, აქ გამარჯვებულის ვინაობა მუდამ უეჭველია. მოგეხსენებათ გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებები აქამდე უპირველეს ტურნირზე ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. თუმცა დარწმუნებული ვარ, ასეთი დაპირისპირება რომ შედგეს, ჩემი თანამემამულეები შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

**— მაინც რა თვისებას უნდა მივაწეროთ გერმანელთა ეს მიღწევები? იქნებ სხვებისგან განსხვავებით უკეთესი მომზადების სისტემა გაქვთ შემუშავებული?**

— არა, ეს სულაც არ არის ის, რაც ხალხს ჰგონია. გერმანელი ფეხბურთელები ნამდვილად არ არიან სხვებზე უკეთ ნავარჯიშევი. მათ არც უკეთესი ტექნიკური არსენალი გააჩნიათ და არც საუკეთესო ტაქტიკას იყენებენ. უბრალოდ, ჩვენს გუნდებს უდიდესი მებრძოლი სული და გამარჯვებისკენ არნახული სწრაფვა ახასიათებთ.

არის კიდევ ერთი ფაქტი, რაზეც ყურადღებას არავინ ამახვილებს. ისეთი დიდი ტურნირები, როგორიც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებია, საკმაოდ დიდხანს გრძელდება. თუ მოსამზადებელ პერიოდსა და თავად ტურნირის მსვლელობის ხანგრძლივობას დავუმატებთ, გამოვა, რომ 22 მოთამაშეს დაახლოებით რვა-ცხრა კვირის მანძილზე უწევს ერთად ყოფნა. ისინი მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარ სახლსა და ოჯახებს მოწყვეტილი არიან და როგორც ჩანს, ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე ამისთვის ფსიქოლოგიურად არ არის მზად.

აი, გერმანელი ფეხბურთელებისთვის კი ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს, ვინაიდან ისინი საოცარი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან.



WORLD SOCCER

ახალგაზრდა ბეკენბაუერი საოცრად სწრაფად ახერხებდა დაცვიდან თავდასხმაში გადასვლას

**— კი მაგრამ, დიდ წარმატებების მიღწევას ხომ უდიდესი ტალანტები სჭირდება. ნუთუ უბრალო, არაფრით გამორჩეული ფეხბურთელებითაც მოახერხებდით იგივეს განმეორებას?**

— გერმანელებს თამაშის მეტად მარტივი სტილი აქვთ. ჩვენ ნამდვილად არ შეგვიძლია ისე ვითამაშოთ, როგორც ამას ბრაზილიელები და პორტუგალიელები აკეთებენ. მათი მინდორზე ნახვა მართლაც ერთ რამედ ღირს. ისინი თითქოს ბურთთან ერთად ცეკვავენ. ჩვენ კი უფრო მძლავრი, სწორხაზოვანი ფეხბურთის მიმდევრები ვართ. მართალია, ბუნდესლიგაში მოიძებნება რამდენიმე უნიჭიერესი მოთამაშე, რომლებსაც მინდორზე საოცრებების მოხდენა ძალუძთ, მაგრამ ისინი ყველა ლეგიონერები არიან! გერმანელებს ნამდვილად არ ჰყავთ ისეთი შემსრულებლები, როგორიც მიუნხენის „ბაიერნის" ბრაზილიელი ფორვარდი ელბერია.

თუმცა... გერმანელთა სიდიადე სწორედ ამაში მდგომარეობს. ჩვენი მოთამაშეები ნაკრებში მოხვედრისას ვერ ხედავენ ისეთ ფეხბურთელებს, რომელთა მხარდამხარაც ისინი საკუთარ კლუბებში ირჯებიან. მაგრამ ეროვნულ სახელს ხომ გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ თითოეული მათგანი წარმოუდგენელი ძალისხმევით იმდენს ახერხებს, რომ გერმანიის ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**— თუ შეადარებდით ახლანდელ ფეხბურთელების თაობას მოთამაშეთა იმ პლეადასთან, რომლებსაც 1966 წელს თქვენთან ერთად უწევდათ მინდორზე გასვლა?**

— 1966 წელს მოთამაშეები უფრო ინდივიდუალურად ირჯებოდნენ. ყველას სურდა, მოედანზე ფინტების კორიანტელი დაეტრიალებინა ან რაიმე ისეთი მოემოქმედებინა, რაც სტადიონზე მისულ ქომაგებს სიამოვნებას მიანიჭებდა. დღეს კი... არ ვიცი, სხვები როგორ, მაგრამ გერმანიაში ფეხბურთელები იქამდე აგორებენ ბურთს, სანამ მაყურებლებს ღრმად არ ჩაეძინებათ.

ინგლისში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა ნათლად გამოაჩინა, რამხელა დანაკლისი განიცადა ფეხბურთმა, სანახაობრივი თვალსაზრისით. ის მართლაც საუცხოო შეხვედრა გახლდათ, რადგან თითოეული მოთამაშე მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა. მარჯვენა მცველი წინ ლიბეროს აწვდიდა, ეს ნახევარმცველს უპასებდა და ასე შემდეგ.

მაშინ, როცა ბურთს მივიღებდი, შემეძლო ცოტა ხნით შევჩერებულიყავი, ირგვლივ მიმომეხედა, სიტუაცია კარგად შემეფასებინა და გამეკეთებინა ის, რასაც იმ მომენტში საუკეთესო გაგრძელებად ჩავთვლიდი. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. მოთამაშეს ბურთი არ მიუღია და უმალ მეტოქის ორი მცველი აედევნება.

**— 1966 წლის ცნობილი ფინალის დავიწყება დღემდე ვერ შეძლეს. თქვენ რა გრძნობებს აღგიძრავთ იგი?**

— პირველი, რაც მახსენდება, ის არის, რომ ჩვენს მთავარ მწვრთნელს მართლაც დიდებული იდეა მოუვიდა თავში. მან ბობი ჩარლტონის პერსონალური მურვეობა დამავალა. მეც ინგლისელთა ყველაზე სახიფათო მოთამაშეს აჩრდილივით დავდევდი და ამან შედეგად ის გამოიღო, რომ იმ შეხვედრაში არც ერთ ჩვენგანს არანაირი ფუნქცია არ გვქონდა. თითქოს ჩვენ ორნი იმ დღეს მოედანზე არც კი ვიყავით!

მახსოვს, თამაშის შემდეგ საშინელი დაღლა ვიგრძენი. მართალია, წაგება ძალიან საწყენი იყო, მაგრამ იმ მომენტში ისე ვიყავით გათანგულები, დასვენების გარდა სხვა რამეზე ფიქრიც კი არ შეგვეძლო.

რაც შეეხება ტოფიკ ბახრამოვის მიერ ჩათვლილ საეჭვო გოლს, მინდა გითხრათ, რომ აღარ ღირს ამის მეათასედ გახსენება. ასეც რომ ყოფილიყო, ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, ბრიტანელებს იმ გოლს ჩაუთვლიდნენ თუ არა. ინგლისს იმ წელს უდიდესი გუნდი ჰყავდა და მათ სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს.

„უორლდ სოკერიდან" თარგმნა
ირაკლი ხმელიძემ

ხელბურთი

# წავალთ, აბა, არ წავალთ!

ივლისი ქართველი ხელბურთელებისთვის განსაკუთრებული თვე უნდა ყოფილიყო. საქართველოს ვაჟთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მონდომებით ემზადებოდა და გულშემატკივარს გამარჯვებებსაც პირდებოდა. ჩვენებმა იუგოსლავიასა და მაკედონიაში ამხანაგური ტურნეებიც გამართეს და მომავალი მეტოქის მოლოდინში, რომ იტყვიან, კბილებს ილესდნენ, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ყველაფერმა — ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისგან მოკვეთა. ცხადია, ამ საქმეში ვიღაცაა დამნაშავე — ან ჩვენმა ფედერაციამ შესცოდა, ან კიდევ ევროპელები მოგვექცნენ უსამართლოდ. აქვე უნდა ვთქვათ — ქართული ხელბურთის ჩინოსნებს თავის მართლება არ დაუწყიათ, დაგვპირდნენ კიდეც, ვენაში ვიზიტისას ყველაფერი გაირკვევა და თქვენც გაცნობებთო. ავსტრიის დედაქალაქში ევროპის ხელბურთის ფედერაციის ახალგახსნილ ოფისს ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ალეკო კიკაბიძე და ვიცე-პრეზიდენტი ალქსანდრე ანპილოგოვი ეწვივნენ. სწორედ ვენაში სტუმრობის გამო შევეხმიანეთ ალეკო კიკაბიძეს და იქ გამართულ შეხვედრებზე საუბარი ვთხოვეთ:

— მართალი გითხრათ, იმდენად გაოგნებულნი ვიყავით ევროპის ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, აღარც კი ვიცოდით, რა გვეკეთებინა. თითქოს ყველაფერი წესრიგში გვქონდა, ყოველწლიური საწევრო შესატანიც დროულად გადავიხადეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენს ნაკრებს საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობა მაინც აუკრძალეს. უპირველესად ჩვენი ბიჭები დაზარალდნენ, გუნდის უფროსი მწვრთნელი ზაზა დოლიძე გულდაწყვეტილი იყო. როგორი საქმეა, ამდენმა შრომამ და თავდაუზოგავმა ვარჯიშმა უნაყოფოდ ჩაიაროს.

**— ალბათ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ვერ იმუშავა სათანადოდ, თორემ არა მგონია, ევროპელ ჩინოსნებს უმიზეზოდ დავეჩაგრეთ.**

— რა თქმა უნდა, ჩვენს მუშაობაში უამრავი ხარვეზია და ამას არც ვმალავთ, მაგრამ ასეთ მკაცრ განაჩენს მაინც არ ველოდით.

**— ევროპის ხელბურთის ფედერაციის მიერ გამოგზავნილ ფაქსში კომუნიკაციების უქონლობას გვიწუნებდნენ, თან გვსაყვედურობდნენ, ხშირად არ გვიკავშირდებითო. ამიტომაც ჩამოგვაშორეს მსოფლიოს პირველობას, თუმც იქვე სურვილიც იყო გამოთქმული — ერთმანეთს შევხვდეთ, ქართული ხელბურთის პრობლემები ერთად განვიხილოთო და თქვენც ავსტრიას ეწვიეთ.**



შარშანდელი ივლისი. საქართველო—შვეიცარია. ვახტანგ მეიფარიანი სტუმრებს უტევს. საქართველოს ნაკრები კვლავაც იასპარეზებს საერთაშორისო სარბიელზე

— საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ გაზდელიანმა ავსტრიაში მიგვავლინა მე და ალექსანდრე ანპილოგოვი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს, იგი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და უცხოეთში იცავს ქართული ხელბურთის ინტერესებს. თავიდანვე გეტყვით, რომ ნამდვილად არ ველოდით ასეთ კარგ დახვედრას. ევროპის ხელბურთის ფედერაციის დირექტორატის წევრი კარლ კუნცერი შვებულებით იმყოფებოდა შვეიცარიაში და საგანგებოდ ჩვენთან შესახვედრად ჩამოვიდა ავსტრიაში. კუნცერი ძალიან გავლენიანი ფიგურაა, იგი განაგებს ევროპული ხელბურთის ფინანსებას და მასთან საქმიანი საუბარიც მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენსავით ღარიბი და არაფრისმქონე ფედერაციისთვის. ამავე დროს, კუნცერი 1995 წელს თბილისშიც სტუმრობდა, როგორც ბრძანა, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დარჩენია საქართველოს დედაქალაქზე და უახლოეს მომავალში კიდევ ერთხელ გვეწვევა. გარდა კუნცერისა, სამუშაო შეხვედრაში გენერალური მდივანი მიხაელ ვოდერერი, თამაშების ორგანიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე ალექსანდრ ტონკვუორტი და ბავშვთა ხელბურთის დეპარტამენტის თანამშრომელი ჰელმუტ ჰორაცი მონაწილეობდნენ. საუბრის დასაწყისშივე ვკითხეთ ევროპელ ჩინოსნებს, თუ რატომ დაგვსაჯეს ასე მკაცრად. მათი პასუხიც არგუმენტირებული და დამაჯერებელი გახლდათ. უპირველესად მათ აპრილში გამართული კონგრესი შეგვახსენეს, ამ დიდ ფორუმზე საქართველოდან სამი წარმომადგენელი ვიყავით მიპატიჟებული, მაგრამ უსახსრობის გამო გამგზავრება ვერ მოვახერხეთ. სწორედ კონგრესზე ჩაუსვლელობა არ გვაპატიეს ევროპის ხელბურთის მამებმა. მეორეც — ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობაში დაგვდეს ბრალი, ფაქსი არ გაგაჩნიათ და საჭირო დროს ვერაფრით გიკავშირდებითო. ჩვენ ეს სამართლიანი შენიშვნები მივიღეთ, მაგრამ ალალადაც ვუთხარით, ამის გამო ნაკრების დასჯა ცოტა არ იყოს უსამართლოდ მოგვეჩვენათქო. ჩვენდა გასაკვირად, კარლ კუნცერი დაგვეთანხმა და იქვე აღნიშნა — ხომ ხედავთ, პირველად შევხვდით და გაუგებრობებიც რა იოლად მოვაგვარეთო.

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ამით ჩვენს ნაკრებს რაღა ეშველება. სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზეც აუცილებლად ისაუბრებდით. ორიოდ სიტყვით ამაზეც.**

— ავსტრიაში სწორედ იმიტომ მიგვიწვიეს, რომ მომავალი ურთიერთობები გაგვერკვია. ევროპის ფედერაცია დიდ დახმარებას უწევს თითოეულ ქვეყანას. მათ პირდაპირ გვითხრეს — ჩვენი მიზანია არა ქართული ხელბურთის დაკნინება, არამედ მისი განვითარება და ფეხზე დაყენებაო.

**— მართლაც კარგი სურვილი ჰქონიათ. ეგ არის მხოლოდ, სიტყვას საქმე თუ მოჰყვება?**

— მჯერა, დანაპირებს აუცილებლად შეასრულებენ. ერთ კონკრეტულ საკითხზე უკვე შევთანხმდით, ევროპის ფედერაცია ფინანსურად და ინვენტარით დაეხმარება თბილისის ბავშვთა ხელბურთის სპეციალიზებულ სკოლას — ამიერიდან ჩვენს დამწყებ ხელბურთელებს ფორმების, ბურთების, კარებისა და სხვა საჭირო ინვენტარის პრობლემა აღარ ექნებათ. გარდა ამისა, თბილისში ჩამოვლენ გამოცდილი ევროპელი სპეციალისტები და ერთკვირიან ვარჯიშებს ჩაატარებენ, ხოლო ორი ქართველი გოგონა მსაჯთა კურსებზე გაიგზავნება და გარკვეული დროის შემდეგ პროფესიონალ არბიტრებად დაგვიბრუნდებიან.

**— საქართველოს ხელბურთის ფედერაციას წარსულში მეტად პრესტიჟული „ზარია ვოსტოკას“ საერთაშორისო ტურნირის აღდგენა ჰქონდა დაგეგმილი. ამის თაობაზე ხომ არ გქონიათ საუბარი ავსტრიულ შეხვედრებზე.**

— ჩვენ სერიოზულად დავსვით ეს საკითხი. სხვათა შორის, „ზარია ვოსტოკას“ ტურნირი დღემდე კარგად ახსოვთ ევროპაში. ეს იდეა მოგვიწონეს და დახმარებაც აღგვითქვეს. ოღონდ ორი წლის განმავლობაში ტურნირი საკლუბო დონეზე ჩატარდება. თუკი სათანდო დონეზე მოვახერხებთ მის გამართვას, მერე თბილისის სპორტის სასახლეში სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს ნაკრებებსაც ვიხილავთ.

**— უახლოეს მომავალში ევროპის [illegible] ტურნირები გველის. [illegible] და ჩვენი გუნდებიც საევროპოდ ემზადებიან.**

— ჩემპიონთა თასზე სტუ-შევარდენი ითამაშებს. მისი მეტოქე ბოსნია-ჰერცოგოვინას გუნდი ტრავნიკის „ბორაცია“, პირველ მატჩს ჩვენები სტუმრად 5 ან 6 სექტემბერს გამართავენ, თბილისში კი ერთი კვირის მერე შევხვდებით ბოსნიელებს. ზაზა დოლიძეს ბიჭები ბორჯომში ჰყავს წაყვანილი საწვრთნელ შეკრებაზე. ვფიქრობ, „სტუ-შევარდენი“ დაძლევს პირველ ბარიერს და შემდგომ ეტაპზე გავა.

თასების თასზე თბილისის „მამული“ მინსკის ასკ-ს შეხვდება. „მამული“ პირველ მატჩს შინ გამართავს. ბელარუსებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ და ჩვენებს ძალიან გაუჭირდებათ. ქალთა გუნდი „მართვე“ კვიპროსის ჩემპიონს ეთამაშება. გოგონებს ჯერ სტუმრობა უწევთ, ერთი კვირის მერე კი მასპინძლობა.

**— ბოლოს ფედერაციის სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ.**

— 16-20 სექტმებერს აფრიკაში, კოტ დივუარში ხელბურთის მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება. შავ კონტინენტზე ჩვენგან ორი კაცია მიწვეული. კონგრესს აუცილებლად უნდა დავესწროთ, თორემ მსოფლიო ფედერაციის თავკაცებიც რომ მოვიმდუროთ, მერე აღარაფერი გვეშველება. ოქტომბერში ავსტრიაშია მიწვეული ბატონი თენგიზ გაზდელიანი, რომელიც ევროპის ფედერაციის ახალი ოფისის ოფიციალურ გახსნას დაესწრება.

25 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით კი იუგოსლავია სტუდენტურ თამაშებს უმასპინძლებს და ჩვენი ნაკრებიც იასპარეზებს ამ ტურნირში.

**— კი მაგრამ, ყოველივე ამას ხომ საკმაო ფული სჭირდება?**

— მართალია, ძალიან გვიჭირს, ფულიც არ გვაქვს საკმარისი, მაგრამ იმდენს მაინც მოვახერხებთ, საერთაშორისო შეჯიბრებასა და სხვადასხვა ფორუმებს არ გამოვაკლდეთ. ქართულ ხელბურთს აქვს იმის პოტენციალი, თუკი მცირედი ხელშეწყობაც ექნება, ძველი ავტორიტეტი და, რაც მთავარია, მაყურებელი დაიბრუნოს.

სოსო ქოტორეიშვილი

ჭიდაობა

# მომავლის ჩემპიონი



შოთა ბოღოლაშვილი

მოსკოვში, ახალგაზრდულ თამაშებზე ქართველი მოჭიდავეები ურიგოდ ნამდვილად არ გამოსულან. თითოეულ ცნობას დიდი გულისყურით ველოდით. ჯერ იყო და, ინტერესი პირველმა წარმატებულმა დღემ გაალვივა, ხოლო შემდეგ, როცა ვერცხლ-ბრინჯაოების წვიმა წამოვიდა, ოქროს დაუძლეველმა სურვილმა შეგვიპყრო. დღეები გადიოდა, სპორტსმენები ამთავრებდნენ ასპარეზობას, იყო წარმატებები და პირველობის იმედსაც არ ვკარგავდით, მაგრამ სანუკვარი ოქროს მედალი არ ჩანდა, რაზეც გული ძალიან გვწყდებოდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს შვებით ამოვისუნთქეთ — 76 კგ წონაში თბილისელი შოთა ბოღოლაშვილი ჩემპიონი გახდა. მართალია, შემდეგ ოქროს მედალი ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემაც მოიგო, მაგრამ დაგვეთანხმებით, პირველს მაინც სხვა ფასი აქვს.

შოთა ბოღოლაშვილი — ეს გვარი და სახელი თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტთათვის უკვე საკმაოდ ცნობილია. შოთას სპორტული ბიოგრაფია მხოლოდ შვიდ წელს ითვლის, მაგრამ მან უკვე მოასწრო ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონობის 4-ჯერ მოპოვება. გარდა ამისა, საერთაშორისო ასპარეზზეც მოახერხა თავის გამოჩენა — არის თურქეთისა და ერევნის ტურნირების ჩემპიონი, ხოლო სულ ახლახან მანჩესტერში დამთავრებულ მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ახლა კი ეს წარმატება. ვფიქრობთ, შვიდწლიანი მონაკვეთისთვის ეს საკმარისზე მეტიც კია. ვერ დავიჩემებ, უეჭველად ტალანტის დაბადებაა-მეთქი, მაგრამ ფაქტი კია — როცა მწვრთნელები მისი თაობის პერსპექტიულ ბიჭებზე საუბრობენ, პირველთა შორის ბოღოლაშვილს ასახელებენ.

არადა, ჭიდაობა შოთას თავდაპირველი გატაცება სულაც არ ყოფილა. რომ არა ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი, დღეს ეს 18 წლის ნახალოვკელი ბიჭი ფალავანი არ იქნებოდა. თავად ასე იგონებს იმ ბედნიერ შემთხვევას:

— 11 წლამდე ეს სახეობა საერთოდ არ მაინტერესებდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც თავად ჭიდაობდა, ვარჯიშზე წამიყვანა. სწორედ იმ დღიდან გამიჩნდა ჭიდაობის სურვილი.

**— ოჯახს თუ აქვს სპორტული ტრადიციები?**

— დიახ. მამაჩემი — გივი ყოფილი ფეხბურთელია, ხოლო 16 წლის ძმა დათო ჩემსავით მოჭიდავეა. იგი საქართველოს ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის. სხვათა შორის, წლეულს ერთად გავხდით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები.

**— მოსკოვში იოლად გაიმარჯვე?**

— რომ ვთქვა, ძალიან გამიჭირდა-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ყველაზე რთული მეორე წრეში ირანელთან შეხვედრა იყო, რომელსაც 5:0 მოვუგე.

**— ფინალში შენი მეტოქე არ გამოცხადდა. არ მინდა, შენი გამარჯვება დავაკნინო, მაგრამ რომ გამოსულიყო, დაამარცხებდი?**

— ფინალში აზერბაიჯანელი მეტოქე მართლაც არ გამოცხადდა. არ ვიცი, რატომ, ალბათ, თავისი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ რომც ეჭიდავა, მაინც მოვუგებდი. არ იყო ძლიერი მოჭიდავე.

**— მოსკოვის თამაშებს არაოფიციალურად „მცირე ოლიმპიადაც“ უწოდეს. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ხარ, მაგრამ დიდი ოლიმპიადის ოქროს თუ გვპირდები?**

— ამაზე ჯერ არ ვფიქრობ.

**— მანჩესტერის მსოფლიოს პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავე. რომელი ტურნირი იყო უფრო ძლიერი — იქაური თუ მოსკოვისა და საერთოდ, ინგლისში უფრო მეტი თუ შეგეძლო?**

— ვთვლი, რომ მანჩესტერში არ გამიმართლა. მოსკოვის ტურნირი მასზე გაცილებით ძლიერი იყო და იქ მეტის მიღწევა შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**— 76 კილოგრამში იუნიორთა ნაკრების შეუცვლელი ლიდერი ხარ, აქედან კი ეროვნული ნაკრები ერთი ხელის გაწვდენაზეა.**

— დიდებში ჯერ საერთოდ არ მიჭიდავია და ვერ ვიტყვი, უახლოეს ხანებში მოზრდილთა ნაკრებშიც დავიკავებ ადგილს-მეთქი. ვნახოთ, მე ჩემსას ვეცდები, ვარჯიშსაც ძველებურად გავაგრძელებ და თუ გამომივა, ხომ კარგი, თუ არადა...

**— ჭიდაობაში კერპი თუ გყავს?**

— ეს ჩემი საიტიევია. მინდა, ყველაფერში მას მივბაძო.

ამით დასრულდა ჩვენი საუბარი, რომელმაც კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ ჩემს წინ მომავლის ჩემპიონი იდგა. დიდი მიზნების განხორციელებას დიდი გარჯა სჭირდება. შოთას ეს კარგად ესმის და ჩვენც ამიტომ გვაქვს მისი იმედი.

ირაკლი თავაძე

ბატუტზე ხტომა

# აბრამაშვილსაც დაბრუნება სურს

ქართველ ბატუტისტებზე ბოლო დროს საკმაოდ ვწერეთ, ზოგი მათი გაჭირვების, ზოგიც დალხინების გამო. ისიც ვთქვით, რომ სპორტის ეს სახეობა ბოლო წლებში შედარებით გამოცოცხლდა და უკვე დაკარგულის ანაზღაურებაზეც შეიძლება საუბარი. ასეთ პირობებში არაერთი მივიწყებული სახელი გაგვახსენდა და დღეს სწორედ ერთ-ერთ მათგანზე — ზაზა აბრამაშვილზე გვინდა გესაუბროთ, მით უფრო, მიზეზიც გვაქვს.

ჯერ ცოტა რამ შესავლისთვის ვთქვათ. ზაზა აბრამაშვილი ქართველ ბატუტისტთა იმ თაობას ეკუთვნის, 80-იანი წლების ბოლოს რომ გამოვიდნენ დიდ სპორტულ სარბიელზე. მოგეხსენებათ, სპორტის ამ სახეობისთვის ეს „ოქროს ხანა“ იყო. ჯერ იყო და ქალებმა — რუსუდან ხოფერიამ, ანა დოლონაძემ, ლია ბენდიანიშვილმა და, ნაწილობრივ სხვებმაც ლამის ყველა ტიტული დაისაკუთრეს, მერე კი მეტად ნიჭიერი ბიჭებიც გამოჩნდნენ. მათ შორის უპირველესი სწორედ ზაზა აბრამაშვილი იყო, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისთვის უმაღლესი მიღწევა ოდენ 1990 წელს ახალგაზრდებს შორის ევროპის აბსოლუტური ჩემპიონობა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური პირველობა გამოდგა.

ისე არ იფიქროთ, თითქოს ზაზამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და მეტსაც ამიტომ ვერ მიაღწია. სრულებითაც არა. ეს მისთვისაც და სპეციალისტთათვისაც კარგი სამომავლო სტიმული იყო და არც თამამ პროგნოზებსა თუ ოცნებებს დაუგვიანია, მაგრამ ყოველივე ეს ვარაუდად დარჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ პერიოდში საქართველოში უცხო ქარმა დაქროლა. თანატოლთა მსგავსად ზაზა აბრამაშვილმაც მოსკოვს მიაშურა თავის სარჩენად. ბედმა იგი ეგრეთ წოდებულ ნიკულინის თეატრში მოახვედრა, მერე კი ოკეანისგაღმა, აშშ-ში გადაისროლა, სადაც ამჟამად კონტრაქტით მუშაობს მისი თეატრი.

ახლახან შევიტყვეთ, ზაზა აბრამაშვილს სპორტში დაბრუნება და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ასპარეზობა სურსო. ეს ხმები დაადასტურეს ფედერაციაშიც და ზაზას ოჯახშიც. ამ უკანასკნელთაგან შევიტყვეთ, რომ ზაზა ოლიმპიადამდე დარჩენილ ორ წელს ძალების სრულყოფილად აღსადგენად სრულიად შესაძლებლად მიიჩნევს, თუ სავარჯიშოდ საჭირო პირობებს შეუქმნიან. საქართველოში დაბრუნების შესახებ იგი ფედერაციისა თუ ნაკრების ხელმძღვანელებსაც მოლაპარაკებია. ჯერჯერობით რაიმე გარანტიებზე საუბარი ნაადრევია, რადგან სავარჯიშო თუ სხვა პირობები ამ ფედერაციისთვის ისედაც პრობლემაა. ადრეც ვწერდით, რამდენად ჩამორჩა აქაური ბატუტები თანამედროვე იარაღებს. ამ პრობლემას ფედერაცია დამოუკიდებლად ვერ მოაგვარებს, თუმცა მოლაპარაკებები ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტის დეპარტამენტთან უკვე მიმდინარეობს. დეპარტამენტის დაპირება, რომ წლის ბოლომდე თანამედროვე, უახლეს ბატუტებს შეიძენენ, იმედს გვაძლევს, რომ სახელმწიფო სპორტული სტრუქტურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ამ სახეობას.

რაც შეეხება თავად ზაზას მიზნებს, გვჯერა, იგი აუცილებლად მოიპოვებს ოლიმპიადის ლიცენზიას. მის ოსტატობას რომ თავი დავანებოთ, სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაცია ხომ საოლიმპიადო ლიცენზიებს გეოგრაფიული პრინციპით არიგებს და არა სპორტულით. ასეთ პირობებში ზაზას რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა (ვთქვათ, ტრავმა) თუ შეუშლის ხელს.

ირაკლი თავაძე

## ჩოგბურთი

# ინტერვიუს მსხვერპლი

ინტერვიუს მიცემა შეიძლება უხიფათო საქმიანობა სულაც არ იყოს. ჩოგბურთის ლეგენდას — ავსტრალიელ როდ ლეივერს სწორედ ამ დროს მოუვიდა გულის შეტევა და საავადმყოფოში ამოჰყო თავი.

ლეივერი სამშაბათს ლოს ანჯელესში, საკაბელო სატელევიზიო არხ ESPN-ის მისადმი მიძღვნილი პროგრამის ჩაწერაში მონაწილეობდა, როდესაც ცუდად გახდა და კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში მოათავსეს. თავიდან 59 წლის ავსტრალიელის მდგომარეობას „კრიტიკულად და სიცოცხლისთვის სახიფათოდ“ მიიჩნევდნენ, მაგრამ გუშინ სარეანიმაციო განყოფილებაში მყოფი როდის ჯანმრთელობა მხოლოდ „სერიოზულად“ შეფასდა.

ლეივერი ამჟამად ლოს ანჯელესიდან 50 კილომეტრში მდებარე ნიუპორტ ბიჩში ცხოვრობს და ოჯახის წევრებიც სასწრაფოდ გაეშურნენ მის მოსანახულებლად, საავადმყოფოში მისვლისთანავე კი, როგორც ამ ბოლო ხანების მოდა მოითხოვს, პერსონალს ყოფილი ჩოგბურთელის მდგომარეობაზე ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება აუკრძალეს.



ასე რომ, როიტერის სააგენტო ისევ ავსტრალიაში, ქუინსლენში მოსახლე ლეივერის ძმამ, ტრევორმა იხსნა, რომელმაც ჟურნალისტებს შეატყობინა, როდს გონება მთელი ამ დროს განმავლობაში ერთხელაც არ დაუკარგავს, თუმცა სხეულის მარჯვენა მხარეს ვერ ამოძრავებსო.

როდ ლეივერი ბევრს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მიაჩნია და ძნელია, ამას არ დაეთანხმო — იგი ერთადერთია, ვისაც სპორტის ყველაზე პრესტიჟული პრიზი — დიდი სლემი (ოთხივე დიდი ტურნირი ერთ სეზონში) ორჯერ მოუგია (1962-ში და 1969-ში. კაცებიდან დიდი სლემი მის გარდა მხოლოდ ამერიკელ დონალდ ბაჯს აქვს მოპოვებული მეორე მსოფლიო ომამდე), ოთხგზის უიმბლდონის, სამგზის ავსტრალიის, ორ-ორგზის აშშ-ისა და საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონია. და ეს მაშინ, როცა კარიერის საუკეთესო წლებში გაპროფესიონალების გამო დიდი სლემის ტურნირებზე ასპარეზობა აკრძალული ჰქონდა.

# ბორისს მოწველას უპირებენ

გერმანელი ჩოგბურთელების მწყრალი დამოკიდებულება მშობლიურ საგადასახადო ინსპექციასთან ისევ გრძელდება. მას შემდეგ, რაც შტეფი გრაფის მამას — პეტერს ციხეში თითქმის სამი წელი მოუხდა ყურყუტი სახელმწიფოსთვის 6,55 მილიონი დოლარის დამალვისთვის, იგივე ბედი ბორის ბეკერსაც ემუქრება.

გაზეთ „ზუედოიჩე ცაიტუნგის“ ცნობით, სამშაბათს პოლიცია უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის ნაცნობ-მეგობრებს, სპონსორებსა და გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციას ეწვია, რათა გაერკვია, 1990-93 წლებში რამდენი ხნის განმავლობაში, როდის და სად იმყოფებოდა ბეკერი გერმანიაში. საქმე ისაა, რომ ამ წლებში ჩოგბურთელი გადასახადებისგან თავის დაღწევის მიზნით ოფიციალურად მონტე-კარლოში ცხოვრობდა. თუმცა, გერმანული კანონების თანახმად, მილიონების გადასარჩენად ბეკერს მინიმუმ 185 დღე უნდა გაეტარებინა ქალაქ-კაზინოში, რაც პოლიციას ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია. ასე რომ, თუ საწინააღმდეგო დამტკიცდა, გერმანელთა ეროვნულ გმირს და მის იმდროინდელ მწვრთნელსა და მენეჯერ იონ ცირიაკს თაღლითობაში დასდებენ ბრალს.

ბეკერი ამ გამოძიებით თავიდან ძალიან გაღიზიანებული იყო და 1996 წელს თავისი მიუნხენური ვილის გაჩხრეკის შემდეგ განაცხადა, სხვა ქვეყანაში გადავალ საცხოვრებლად, მოსაწველ ძროხად ყოფნა მომწყინდაო. თუმცა ამჯერად ჩოგბურთელის რეაქცია ასეთი მწვავე აღარ ყოფილა. მისი ადვოკატის ერიხ სემსონის განცხადებით გამოძიება შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ გამორიცხულია, მან რაიმე დარღვევა აღმოაჩინოს. „დარწმუნებული ვარ, ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაირკვევა და უსაფუძვლო ბრალდებებსაც მოხსნიან. ბორისს გამოძიება სავსებით არ აღელვებს და ამის გამო არც ქვეყნის დატოვებას აპირებს“.

1998 GOODWILL GAMES

# O, SOLO MIA

კეთილი ნების თამაშებზე ქალთა ფეხბურთის დებიუტი შედგა და როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონები მასპინძლები გახდნენ.

ფინალში აშშ-ის ნაკრები ჩინეთს შეხვდა და 12 ათასი მაყურებლის ქომაგობით გამხნევებულმა, რაც კეთილი ნების თამაშებისთვის უსაშველოდ დიდი რიცხვია, 2:0 გაიმარჯვა. ამერიკელთაგან ორივე ბურთი მათმა საუკეთესო ბომბარდირმა მია ჰემმა გაიტანა, რომელმაც ნახევარფინალში სულაც ჰეთ-თრიქი გააზერხა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი „ქვედაკაბიანი მარადონას“ მეორე გოლი იყო, როდესაც მან ორი ჩინელი მოატყუა და 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმული პირდაპირ ცხრიანში ჩასვა. „შესანიშნავად გავისარჯეთ. ჩინეთი ძალიან ათლეტური გუნდია, თუმცა რაღაც ქაოტურ სტილში თამაშობს“ — განაცხადა გუნდის ლიდერმა.

### წყალში ხტომა

10-მეტრიანი კოშკი. კაცები

1. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 665,49; 2. ტიან ლიანგი (ჩინეთი) 623,01; სუნ შუვეი (ჩინეთი) 598,80

10-მეტრიანი კოშკი. ქალები

1. ლორა უილკინსონი (აშშ) 504,212; 2. საი იუანი (ჩინეთი) 501,573; 3. სანგ ხუე (ჩინეთი) 484,575

3-მეტრიანი ტრამპლინი. კაცები

1. დმიტრი საუტინი 696,99; 2. ტროი დუმე (აშშ) 648,15; 3. ჟუ უილინი (ჩინეთი) 636,78

### პლაჟის ფრენბურთი

ფინალი. კაცები

ზარა სოუზა და გილერმე მარკეში (ბრაზილია) — კერკ კირალი და ადამ ჯონსონი (აშშ) 12:11

მესამე ადგილისთვის

ესტებან მარტინესი და მარტინ კონდე (არგენტინა) — ჯო პროსერი და ლი ზანერი (ავსტრალია) 12:11, 12:9

**ლოს ანჟელესი. აშშ. „მერსედეს-ბენცის თასი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 345 ათასი $.**

ეს-ესაა შტუტგარტში „მერსედესის თასი“ დასრულდა, რომ საავტომობილო გიგანტის სახელობის ტურნირი უკვე ოკეანისგაღმა, კინემატოგრაფის დედაქალაქში დაიწყო. განსხვავება ის არის, რომ ლოს ანჟელესში პირველობის სახელს „ბენცი“ დაემატა, იგი ჰარდზე ტარდება და გაცილებით მცირე საპრიზო ფონდის მიუხედავად მასში ძალიან ძლიერ, თუმც კი შტუტგარტიდან აბსოლუტურად განსხვავებულ შემადგენლობას მოუყრია თავი.

კალიფორნიას წესით მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასიც უნდა სწვეოდა, მაგრამ 15 ივლისს მარჯვენა ფეხზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო და პარასკევს მონაწილეობაზე უარი განაცხადა. აი, მეოთხედ განთესილი შარშანდელი ფინალისტი, შვედი ტომას ენკვისტი კი ტურნირს დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოაკლდა, რაკილა ვარჯიშისას მუხლი დაიზიანა.

სამპრასის არყოფნაში პირველ ნომრად ტურნირზე შარშანდელი ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული, ოზი პატრიკ რაფტერი განითესა. უიმბლდონის მერვედფინალის შემდეგ პირველ მატჩში ავსტრალიელმა როლან გაროსზე სამპრასის მძლეველი პარაგვაელი რამონ დელგადო დაამარცხა 6:3, 6:2.

უიმბლდონის შემდეგ პირველი მატჩი გამართა ლოს ანჯელესში ხორვატმა გორან ივანიშევიჩმაც (3), რომელიც ლონდონში ფინალის წაგების შემდეგ თავის მოკვლით იმუქრებოდა. გორანს სათვალიან ფრანგ გიიომ რაუქსთან შეხვედრაში 13 ეისთან ერთად 13 ორმაგიც დაუგროვდა და 4:6, 4:6 დამარცხდა. „გორანი უიმბლდონივით ნამდვილად აღარ თამაშობდა, ხშირად ცდებოდა და იოლ ქულებსაც მჩუქნიდა. არა მგონია, ამ ხნის განმავლობაში მას მაინცდამაინც ბევრი ევარჯიშა (თუ საერთოდ გაეკარა კორტებს), ამიტომ ბოლოს უფრო მის შეცდომებს ველოდი“ — განაცხადა რაუქსმა.

კიდევ ერთი ფავორიტი, სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა (6) პირველ წრეში სომეხმა სარგის სარგსიანმა გააგდო, თანაც 6:1, 6:2 გამარჯვებისთვის სულ 55 წუთი დასჭირდა.

**პირველი წრე: ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — გრანტ სტაფორდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:0; ანდრე აგასი (5, აშშ) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:4, 6:3; ბაირონ ბლექი (7, ზიმბაბვე) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (10:8).**

**უმაგი. ხორვატიის საერთაშორისო ჩემპიონატი. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 400 ათასი $.**

ხორვატიის ღია პირველობის პირველ წრეში ერთი დიდი სენსაცია აღინიშნა: პირველად განთესილმა საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულმა კარლოს მოიამ მსოფლიოს 99-ე ჩოგან პოლ ჰაარჰიუსთან წააგო.



კარლოს მოია

მოია მთელი მატჩის განმავლობაში მოწოდება-ფორჰენდ-ნერვებმოშლილი გამოიყურებოდა და მიუხედავად იმისა, რომ როგორღაც პირველი სეტის მოგება მაინც მოახერხა, მერე ჰოლანდიელის ბადესთან ხშირი გასვლების გამო საკუთარი რიტმი და მოთმინება საბოლოოდ დაკარგა და 7:5, 4:6, 1:6-ითაც დამარცხდა.

**პირველი წრე: ფელიქს მანტია (2, ესპანეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:3, 6:3; კაროლ კუჩერა (3, სლოვაკეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 6:0; გუსტავო კუერტენი (4, ბრაზილია) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:0, 7:6 (7:3); მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4), 4:6, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

## ველორბოლა

# ყოფნა, არყოფნა...

მე-16 ეტაპი. ვიზილიდან ალბერვილამდე. 204 კმ.

სწორედ მაშინ, „ტურ დე ფრანსი“ სპორტულ პაექრობაზე რომ უნდა გადართულიყო და რბოლის ლიდერებს შორის ნამდვილი ბრძოლაც დაწყებულიყო, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა მორიგ სკანდალში გაეხვია.

მე-16, ალპებში გასამართებიდან კი მეორე ეტაპი ისევ ძალიან საინტერესოდ წარიმართა. დისტანციის სამ მეოთხედზე რბოლა საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარეობდა და წინ გავარდნილ სამ მრბოლს — როლფ ალდაგს, სტეფან ელოსა და ყაზახ ანდრეი ტეტერიუკს ერთი ხანობა ექვსწუთიანი უპირატესობაც კი დაუგროვდათ. ნამდვილი ბრძოლა ეტაპის უკანასკნელ აღმართზე გაჩაღდა. შარშანდელი ჩემპიონი იან ულრიხი, რომელმაც წინა დღეს ყვითელი მაისურიც დაკარგა და ლამის წლეულს გამარჯვების შანსიც, ჯგროს მოულოდნელად გამოეყო, წინ ტყვიასავით გავარდა და პელოტონი კარგა მანძილით ჩამოიტოვა. ლიდერებიდან გერმანელის დევნის სურვილი მხოლოდ მარკო პანტანიმ გამოთქვა, რომელსაც კონკურენტის თავდაპირველი მოძრაობა კი გამორჩა, მაგრამ ულრიხს მაინც წამოეწია და კვალში ჩაუდგა.

მომდევნო 50 კილომეტრის, თითქმის საათნახევრის განმავლობაში ულრიხი და პანტანი მარტონი ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. მაღალი გერმანელი დიდი ძალისხმევის გარეშე ფარავდა აღმართებს, ჩია იტალიელი კი, ველოსიპედზე წამომდგარი თავს ძალას ატანდა, თუმცა მეტოქის უკანა ბორბალს წამითაც არ ჩამოსცილებია. საბოლოოდ მსოფლიოს ორი საუკეთესო მრბოლის დუელი ფინიშის ხაზამდე გაგრძელდა და ულრიხმა „მეკობრეს“ მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით აჯობა, მაგრამ მოგვიანებით მეტოქის წინ ქუდი მოიხარა: „ჩემთვის იგი საუკეთესოა, მან უკვე მოიგო „ტურ დე ფრანსი“. დღეს შეტევა იმიტომ გადავწყვიტე, რათა სამაგიერო გამეღო გუნდისთვის, რომელიც რბოლის დაწყებიდან ასე მეხმარებოდა. არ მეგონა, თუ მარკოს აქ გამარჯვება შეეძლო, ქუდს ვიხდი მის წინაშე“.



ულრიხი და პანტანი 50 კილომეტრი კატა-თაგვობდნენ

მეტოქისთვის თავად პანტანისაც არ დაუშურებია საქებარი სიტყვები, თუმცა ამას ისიც დაუმატა, რბოლა ჯერ არ დასრულებულა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს: „მძიმე ეტაპი იყო. დეზ ალპზე სუსტი ასპარეზობის შემდეგ იანი დღეს ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა. მან დაამტკიცა, რომ დიდი ჩემპიონია“.

ულრიხმა პანტანისთან ჩამორჩენა ვერ შეამცირა, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელ ბობი ჯულიჩს ორი წუთით აჯობა და ახლა საერთო ჩათვლაში მას 14 წამითღა ჩამორჩება.

წესით და რიგით, ტურის საქმიანობა ამ დღეს ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დროებით მიმცხრალმა დოპინგსკანდალმა მოულოდნელად ისევ წინა პლანზე წამოიწია. ჯერ პოლიციამ ალბერვილის მისადგომებთან გუნდ „ბიგმატის“ სატვირთო მანქანა გააჩერა და ნადავლად წამლებიანი ჩემოდანი წაიღო, მერე კი ჟანდარმები TVM-ის სასტუმროსაც ეწვივნენ და ტურს შემორჩენილი ექვსივე მრბოლი თან წაიყვანეს. თუმცა სჯობს თავად გუნდის ლიდერს, იერონ ბლაილევენსს მოვუსმინოთ: „ექვსი საათისთვის ჩემს ოთახში პოლიციის უფროსი შემოვიდა. ყველას რაღაც ფურცელზე მოგვაწერინეს ხელი და საავადმყოფოში წაგვიყვანეს ტესტების ასაღებად, რაც ძალიან არაპროფესიონალურად გაკეთდა. ისე გვეპყრობოდნენ, თითქოს ცხოველები, ბოროტმოქმედები ვყოფილიყავით. მერე სხვა ფურცელზე ხელის მოწერაც გვაიძულეს. სხვანაირად რბოლის გაგრძელების შესაძლებლობა არ გვექნებოდა“.

პოლიციის ინტერესების სფეროში TVM მაშინ მოხვდა, როდესაც მარტში გუნდის მანქანაში აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩინეს. გასულ კვირაში პამიეში პოლიციამ გუნდის დირექტორი სეს პრიმი და ექიმი ანდრეი მიხაილოვი დააკავა, რომელთა საქმეს — დოპინგის კონტრაბანდას კვლავაც იძიებენ, თუმცა ისინი წაყენებულ ბრალდებებს ისევ უარყოფენ.

ამასობაში „ფესტინას“ დირექტორი ბრუნო რუსელი და მთელი ამ აურზაურის თავი დათავი, მასაჟისტი ვილი ვოიტი ციხიდან გამოუშვეს, თუმცა მათ ახლა სასამართლო პროცესი ელოდებათ. მანამდე ხომ აკრძალული ნივთიერებების გამოყენება გუნის მრბოლებმა — ლორან დიუფომ და ალექს ცულემ აღიარეს.

**მე-16 ეტაპი: 1. ულრიხი 5:39,47; 2. პანტანი — იგივე დრო; 3. ჯულიჩი +1,49; 4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი); 5. აქსელ მერქსი (ბელგია); 6. მიქაელ ბუგერდი (ჰოლანდია); 7. ბიარნე რიისი (დანია) — ყველას იგივე დრო.**

**საერთო ჩათვლა: 1. პანტანი — 77:38,24; 2. ჯულიჩი +5,42; 3. ულრიხი +5,56; 4. ესკარტინი +6,03; 5. კრისტოფ რინერო (საფრანგეთი) +8,01; 6. ბუგერდი +8,05; 7. როდოლფო მასი (იტალია) +12,15.**

მე-17 ეტაპი. ალბერვილიდან ე-ლებენამდე. 49 კმ.

ალპების უკანასკნელ ეტაპზე წესით ლიდერის მდევრების უკანასკნელი გაბრძოლება უნდა გვეხილა, მაგრამ ამის ნაცვლად ტური კვლავ ქაოსმა მოიცვა.

პოლიციამ დილით განაცხადა, რომ ეტაპის დასრულების შემდეგ „ონსეს“, „კაზინოსა“ და „პოლტის“ სასტუმროებზე რეიდის მოწყობას აპირებდა, რამაც მრბოლების მოთმინებას ბოლო მოუღო. შესამჩნევად ნელ ტემპში გავლილი 32 კილომეტრის შემდეგ, რომლის ბოლოს მათი წარმომადგენელი ბიარნე რიისი ტურის თავკაც ჟან-მარი ლებლანისგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა, პელოტონი გაიფიცა. ყველა ტრასაზე ჩამოჯდა, მსოფლიოს კლასიფიკაციის ლიდერმა, ფრანგმა ლორან ჟალაბერმა კი გადაწყვიტა, რბოლისთვის თავი დაენებებინა: „მე ვჭერდები და ამას შეგნებულად ვაკეთებ. ტურის გასაგრძელებლად ზედმეტად დეპრესიულ მდგომარეობაში ვარ. გუშინ ეს TVM-ს დაემართა, მომდევნო შეიძლება ჩვენ ვიყოთ“.

ჟალაბერთან ერთად ტურმა მისი გუნდი, „ონსე“ და ესპანური „ბანესტოც“ დაკარგა, რომლის დირექტორმა მანოლო საისმა განაცხა, მსგავს სიტუაციაში საქმიანობა შეუძლებელია, ტურისტები ხომ არ ვართ, 20 კმ-სთ-ით ვიაროთო. სხვა მრბოლებმა კი რბოლა მაინც განაგრძეს, თუმცა ისევ ნელ ტემპში და თავიანთი ნომრების გარეშე.

ფინიშის ხაზი პელოტონმა ერთად გადალახა, თუმც წინ TVM-ის გუნდელები იყვნენ, რომლებმაც ხელები ჩაჰკიდეს ერთმანეთს და მაღლა აწიეს. საბოლოოდ ეტაპის შედეგები გაუქმდა, თუმცა იმ 116 მრბოლს, რომელთაც ის დაასრულეს, დღეს რბოლის გაგრძელების უფლება ექნებათ.

თუ, რა თქმა უნდა, რბოლა მართლაც გაგრძელდება.

**ლაშა ლომჯარია**

დასაწყისი პირველ გვერდზე

### B ჯგუფი

**რუსეთი 83:58 იაპონია**

**რუსეთი: კარასიოვი (13), ბაბკოვი (13), პაშუტინი (13)**
**იაპონია: ტაკაჰაში (23)**

რუსეთის ნაკრებმა პირველივე შეხვედრაში დაამტკიცა, რომ სამართლიანადაა მიჩნეული ტურნირის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად. მართალია, ეს გუნდი სულ ახლახან დასრულებულ კეთილი ნების თამაშების საკალათბურთო ტურნირზე მეტად უფერულად გამოვიდა და ასპარეზობასაც ნაადრევად დაემშვიდობა, მაგრამ მაშინვე ცხადი იყო მათი მზაკვრული ჩანაფიქრი. რა თქმა უნდა, წლის უპირველესი შეჯიბრის დაწყებამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე არავის სურს თავისი მთავარი კოზირების წარმოჩენა.

იაპონელებმა, რომლებიც უკანასკნელი ოცდათერთმეტი წლის მანძილზე პირველად მონაწილეობენ უპირველეს საკალათბურთო ტურნირზე, მძლავრ მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. მატჩის დასაწყისშივე იგრძნობოდა, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრები საბერძნეთში ოდენ გამოცდილებას თუ შეიძენს, თორემ ამათგან რაიმე წარმატებას და მით უმეტეს, თვალსასეირო თამაშს არ უნდა ველოდეთ.

1990 წელს ტორონტოში გამართული მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორმა რუსეთის გუნდმა არანაირი შანსი არ დაუტოვა საბრალო იაპონელებს. ის კი არა, თამაშის ბედი უკვე პირველ ტაიმში გადაწყდა, რომელიც ყოფილმა საბჭოელებმა ჩვიდმეტი ქულის სხვაობით მოიგეს.

პირველი შეხვედრის კვალობაზე რუსთაგან თითქმის ყველამ კარგად ითამაშა. ვასილი კარასიოვმა, სერგეი ბაბკოვმა და ზახარ პაშუტინმა 13-13 ქულა მიითვალეს, ხოლო იაპონელთაგან ერთადერთი შავკანიანი (!) მაიკერუ ტაკაჰაში ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ამ ამერიკულ სკოლაგამოვლილმა მოთამაშემ საკმაოდ ბევრი — 23 ქულაც კი გააზერხა, მაგრამ უძლიერეს რუსეთის ნაკრებს, აბა, რას დააკლებდა.

**იუგოსლავია 80:66 პუერტო რიკო**

**იუგოსლავია: ბერიჩი (23)**
**პუერტო რიკო: ორტისი (17)**

B ჯგუფის კიდევ ერთი ფავორიტი — იუგოსლავიის ნაკრები პუერტორიკოელებთან შეხვედრაში რუსებზე არანაკლებ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ჯერ კიდევ წინა „სარბიელში“ ვიუწყებოდით, რომ ევროპელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე სხვადასხვა მიზეზის გამო გამოაკლდათ, რამაც მათი სიძლიერე, ცოტა არ იყოს, საეჭვო გახადა. თუმცა, როგორც თამაშმა აჩვენა, თავად იუგები ასე ნამდვილად არ ფიქრობდნენ.

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონებმა მეტად მძლავრად ჩაატარეს შეხვედრა და თამაშის განმავლობაში ამერიკელებისთვის არც ერთი წამითაც არ მიუციათ მატჩის გადარჩენის იმედი. არადა, პუერტორიკოელებს ხელწამოსაკრავი ნაკრები სულაც არ ჰყავთ. ისინი საკმაო ძალას წარმოადგენენ და არცთუ იშვიათად ლიდერებად შერაცხულ გუნდებს ოქროს ქულებს აკარგვინებენ.

თუმცა ამ შეხვედრაში მათ არაფერი გამოუვიდათ. უფრო სწორად, ამის საშუალება პუერტორიკოელებს თავად იუგებმა არ მისცეს. NBA-ში ნათამაშევი ხოსე ორტისი თავდადებით იბრძოდა და საკუთარ აქტივში 17 ქულაც ჩაიწერა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. ევროპელთაგან მშვენივრად გაისარჯა მიროსლავ ბერიჩი, რომელმაც 23 ქულა გააზერხა. მას არც ფორვარდები ჟელკო რებრაჩა და დეიან ბოდიროგა ჩამორჩნენ და გუნდს ერთობლივად 29 ქულით შეეწივნენ.

იუგოსლავიელთა მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი მეტად კმაყოფილი გახლდათ. მან მატჩის მსვლელობისას მოედანზე გამოსვლის საშუალება ყველა სათადარიგოს მისცა, მათ შორის, ალექსანდრე ჯორჯევიჩსაც, რომელმაც მცირე, ჯერაც მოუშუშებული ტრავმის მიუხედავად ბოლო 10 წუთი ითამაშა.



საბერძნეთი—კანადა. ბერძნებმა მაიკლ მიკსი შებორკეს

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: იუგებმა ამ საღამოს ფარიდან ასხლეტილი ბურთი 42-ჯერ მოხსნეს, პუერტორიკოელებმა კი ოდენ 22-ჯერ.

### C ჯგუფი

**ლიტვა 97:56 კორეა**

**ლიტვა: ლუკმინასი (20), კარნიშოვასი (19)**
**კორეა: სეო იანგ-შონი (18)**

გუშინ ათენში დაწყებულ კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მატჩი გამართა ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ლიტვამ, რომელიც C ჯგუფში ასპარეზობს. ლიტველთა მეტოქე კორეა გახლდათ და, აბა, ვის შეეპარებოდა ეჭვი ბალტიისპირელთა გამარჯვებაში. მატჩის დასაწყისში კი აზიელებმა საკმაოდ ანერვიულეს ლიტველები და ერთი ხანობა 6 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმც ტაიმის დასასრულს ლიტველები გააქტიურდნენ და პირველი ნახევარიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს (42:36). მეორე ტაიმში გაილაღეს დარიუს ლუკმინასმა და არტურას კარნიშოვასმა, რომლებმაც, შესაბამისად, 20 და 19 ქულა შესძინეს თავისიანებს და ლიტველთა გამარჯვებაშიც ლომის წილიც დაიდეს. ბალტიისპირელებმა აზიელები საბოლოოდ 41 ქულით დაამარცხეს.

### D ჯგუფი

**ნიგერია 68:80 ესპანეთი**

**ნიგერია: აჩა (23)**
**ესპანეთი: როდილა (14), რეიესი (14), ერეროსი (13)**

**ავსტრალია 62:66 არგენტინა**

**ავსტრალია: ჰილი (16), რონალდსონი (14), როჯერსი (10)**
**არგენტინა: ობერტო (19), ნიკოლა (12), სკონოჩინი (9)**

### A ჯგუფი

**იტალია 76:66 სენეგალი**

**იტალია: მენეგინი (18), აბიო (15), ფუჩკა (9)**
**სენეგალი: ბუბაქარი (10), კარვალიო (10), შეიხი (8)**

**კანადა 72:78 საბერძნეთი**

**კანადა: ვიკერი (23), ჰამილტონი (14), კულოჰი (12)**
**საბერძნეთი: ალვერტისი (21), ეკონომუ (20), ფასულასი (9)**

ირაკლი ხმელიძე
სოსო კოტორეიშვილი



# რობერტო ბაჯო: რონალდოს სანადიროდ წავიყვან

ასობით გულშემატკივარი დახვდა მილანში თავის კერპს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ფეხბურთელ რობერტო ბაჯოს, რომელიც კარიერას მსოფლიო ფეხბურთის გიგანტ „ინტერში“ გააგრძელებს. მიუხედავად აუტანელი სიცხისა და სამი წლის წინანდელი წყენისა, როცა ბაჯომ უარი განაცხადა „ინტერში“ გადასვლაზე და უპირატესობა მეორე მილანურ კლუბ „მილანს“ მიანიჭა, ტიფოზები მას მაინც დიდი სითბოთი და სიყვარულით შეეგებნენ, რამაც იგი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა და, ბუნებრივია, აღაფრთოვანა: „ასეთ მიღებას ნამდვილად არ ველოდი, მეგონა, აქაური გულშემატკივრები ცივად, ან საერთოდ არ დამხვდებოდნენ. თუმცა, ჩემდა სასიხარულოდ, პირიქით მოხდა და მათ უდიდესი სიამოვნება მომანიჭეს. ახლა მივხვდი, რომ აქაური ფანების გულებში კვლავ ვცოცხლობ — ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს“.

აეროპორტიდან ბაჯო პირდაპირ ქალაქის საქმიან ნაწილში მდებარე კლუბის რეზიდენციაში გაამგზავრეს, სადაც მან პრესკონფერენცია გამართა და უამრავი ჟურნალისტის კითხვას გასცა პასუხი. უპირველესად მას სამი წლის წინანდელი ისტორია შეახსენეს და ჰკითხეს, გაუჭირდა თუ არა მილანში, კერძოდ, „ინტერში“ გადაბარგების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება: „საერთოდ, როდესაც ადამიანი რაიმეს წყვეტს, ფიქრობს, რომ ეს საუკეთესო ვარიანტია და არ შემცდარა. ასეა ჩემს შემთხვევაშიც, ის ისტორია უკვე წარსულს ჩაბარდა, ამიტომ მისი გახსენება აღარ ღირს. მთავარია, რომ დღეს აქ ვარ და დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ვემზადები“ — ასეთი იყო რობის პასუხი.

შეგახსენებთ, რომ კარს მომდგარი სეზონი, რომელიც 13 სექტემბერს დაიწყება, ბაჯოსთვის მეთოთხმეტეა სერია A-ში. საერთოდ, მან თავისი კარიერა სერია C-ში მოასპარეზე „ვიჩენცაში“ დაიწყო, რის შემდეგაც უკვე იტალიის უმაღლესი დივიზიონის ბინადარ „ფიორენტინაში“ აღმოჩნდა, სადაც 5 სეზონის განმავლობაში, 1985-90 წლებში გამოდიოდა. მომდევნო 5 წელი რობერტო ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა. ამას მოჰყვა ტრანსფერი „მილანში“ და აქედან გამომდინარე, „ინტერის“ გულშემატკივართა წყენა. მილანში გატარებული ორი უილბლო, არაფრისმთქმელი სეზონის შემდეგ, იგი საშუალო დონის „ბოლონიაში“ გადავიდა და იქ ისეთი შესანიშნავი ერთი წელი გაატარა, რომ მასზე უარყოფითი აზრის მქონე იტალიის ნაკრების თავკაცს, ჩეზარე მალდინის გადაწყვეტილება შეაცვლევინა და სამსოფლიოოსაჩემპიონატო 22-კაციან განაცხადში ადგილი მოიპოვა. წლეულს კი რობერტო უკვე „ინტერში“. აქ იგი 2+1 სისტემის კონტრაქტით იმყოფება და თითოეულ სეზონში 4,5 მილიარდ ლირას ანუ 2,6 მილიონ დოლარს მიიღებს.



ბაჯო და მისი ახალი მწვრთნელი ჯიჯი სიმონი

ასეთია ბაჯოს საკლუბო ბიოგრაფია. დამეთანხმებით, იგი საკმაოდ მდიდარია, რადგან დღესდღეობით ძალიან ცოტა ფეხბურთელი თუ აგრძელებს თამაშს, ვისაც ისეთი სახელოვანი კლუბების სახელით უასპარეზია, როგორებიც „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ინტერია“.

ახლა კი კვლავ ბაჯოს პირველ მილანურ პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ, სადაც მან აღნიშნა, რომ ერთი სული აქვს, როდის გავა მოედანზე თავის მომავალ პარტნიორ რონალდოსთან ერთად: „ამ ბოლო დღეებში სულ ჩემს მომავალზე და „ინტერზე“ ვფიქრობ. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა რონალდოსთან ერთად მომიწევს თამაში და ამაზე ფიქრი ჩემთვის ერთი სიამოვნებაა. დარწმუნებული ვარ, „ფენომენთან“ საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება და ჩვენ ერთად მშვენიერ სანახაობას შევქმნით. იგი ყოველმხრივ იდეალური თავდამსხმელია, ამიტომ მისი პასით მოძებნა ჩემთვის, ვგონებ, არანაირი პრობლემა არ უნდა იყოს“.

ამის შემდეგ ჟურნალისტებმა ბაჯოს ამასწინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში რონალდოს უფერულ თამაშსა და საერთოდ, ამ საიდუმლოებებით მოცულ ისტორიაზე ჰკითხეს, რაზეც მან უპასუხა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ რონალდო ჯერ სულ ახალგაზრდა, 21 წლისაა. იგი ყოველთვის უზარმაზარ ზეწოლას განიცდის, როგორც გულშემატკივრების, ასევე მედიის მხრიდან. რონალდო ძალიან ბევრს მოგზაურობს, ძილი მუდამ აკლია და სტრესსაც ხშირად განიცდის. ასე რომ, მისი ერთგვარი გადაწვა ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო. პირადად მე განსხვავებულად ვცხოვრობ და როგორც კი შანსი მეძლევა, უმალ ქალაქგარეთ მივდივარ სანადიროდ, რაც განტვირთვაში ძლიერ მეხმარება“.

„წახვიდოდით თუ არა სანადიროდ რონალდოსთან ერთად?“ — იკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. „რატომაც არა, დიდი სიამოვნებით“ — იყო ბაჯოს პასუხი.

წავა თუ არა მსოფლიო ფეხბურთის ორი თაობის უდიდესი ვარსკვლავი ერთად სანადიროდ, ამას, ალბათ, მომავალში შევიტყობთ. მთავარი კი ის არის, რომ ბაჯო უკვე მილანშია და საგაისოდ ემზადება. ისე, მისივე თქმისა არ იყოს, წინ საუცხოო სანახაობა გველის.

დავით კოვზირიძე

# სიყვარულო, ძალსა შენსა!

## მარადონა ჩემს ქმარს ჰყვარობს

## წუხს კანიჯას მეუღლე

— დიეგოს ჩემი ქმარი უყვარს! ამას მთელი სერიოზულობით ვაცხადებ — კლაუდიო კანიჯას მეუღლე მარიანა ნანისი ძალიან შფოთავს ქმრის გატაცების გამო.

კლაუდიო კანიჯა და დიეგო მარადონა დიდი ხანია ჰყვარობენ ერთმანეთს. ნამდვილად ასეა თუ არა, არავინ იცის, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ კანიჯას მეუღლეს ძილი გაუტყდა.

— ზოგმა შეიძლება გიჟადაც ჩამთვალოს, მაგრამ რა ვქნა, ხანდახან სერიოზულად ვეჭვობ, რომ დიეგო ჩემს მეუღლეზე გიჟდება. ლამისაა, ოჯახი დამენგრას. მე ვერ ავიტან, ქმარმა მიღალატოს, მით უმეტეს, კაცთან. დიეგოს ქერა ქალები მოსწონს, კლაუდიოც ქერაა. ერთი-ორჯერ იმასაც შევუსწარი, როგორ ეუბნებოდა ვიღაც ტელეფონზე, კლაუდია, ძალიან მიყვარხარო. ხმა მარადონასას მივამსგავსე. ეჭვი იმანაც გამიღვივა, რომ ისინი ძალიან ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. არ ვიცი რა ვქნა, ლამისაა ეულად დავრჩე — სიმწრისგან მკერდს მჯიღს იცემდა მარიანა.

თავდაპირველად მარიანა ნანისი-კანიჯისას განცხადება ხუმრობად აღიქვეს, თუმცა ქალმა მთელი სერიოზულობით რომ გააგრძელა საუბარი, ხუმრობისთვის აღარავის ეცალა. ორიოდ დღის წინ მარადონას მენეჯერმა გილერმო კოპოლამ განაცხადა, საქმეს სასამართლოში აღვძრავ, მატყუარებს და ფლიდებს სულ კუდით ქვას ვასროლინებო.

— დიეგო არაა ის კაცი, მსგავსი რომ ჩაიდინოს. მე მას ვიცნობ, როგორც ჭეშმარიტ მოქალაქეს, გულითად მრჩეველს, სათნო, კეთილ ადამიანს. მას არ შეეძლო მსგავსი რამ ჩაედინა. ეს უბრალოდ ცილისწამებაა. მარიანა ნანისი უბრალოდ ჩირქს სცხებს დიეგო არმანდო მარადონას უმწიკვლო კარიერას — ეს სიტყვები გილერმო კოპოლას ეკუთვნის და მან ზემოთქმული ერთ-ერთ რადიოკვანძში გამოსვლისას წარმოთქვა.

დიეგოს ადვოკატები შეეხმიანნენ იმ სატელევიზიო არხს, რომლითაც გამოვიდა კიდეც შეშფოთებული მარიანა ნანისი-კანიჯისა, თუმცა ტელეჟურნალისტებისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს.

სხვათა შორის, კლაუდიო კანიჯას მეუღლე სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა ქმარს და მარადონას შორის ყოველგვარი ურთიერთობისა. როგორც ჩანს, გული ცუდს უგრძნობდა.

მარადონა 18 წლისა დაქორწინდა და ახლაც პირველი მეუღლის ერთგულია. გენიალური ფეხბურთელი ორი გოგონას მამაა...

ლაშა გოდუაძე


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29